პროლეტარეებო ყველა ქვეყნისაჴ, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
22
თებერვალი
№ 44
(17986)
ფასი
2 კაპ.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და საბჭოელ-საზღვაო ფლოტის დღეა

ლენინის ანდერძის ერთგულნი

ოქტომბრის წელი გავიდა თებერვლის [illegible]ეველაზე დაუვიწყარი დღეების შემდეგ, [illegible] დაიწყო საბჭოთა შეიარაღებული [illegible] ძალების საბრძოლო დიდებული [illegible] მარავანდედით მოსილი გმირული ისტორია. დიდი ოქტომბრის [illegible]საოვრების, სოციალისტური [illegible]ობლოს თავისუფლებისა და [illegible]უკიდებლობის დასაცავად შექმნილი საბჭოთა შეიარაღებული [illegible]ები პირნათლად და ღირსეულად ამართლებენ თავიანთ ისტორიულ დანიშნულებას, ფხიზლად [illegible]ამდეოდ იცავენ ჩვენი ხალხის [illegible]ებიან შრომას, წარმოადგენენ საყოველთაო მშვიდობის ბუ[illegible]ელს საბჭოთა არმიისა და სამ[illegible]-საზღვაო ფლოტის დღე ემ[illegible] ღირსშესანიშნავ მოვლენას [illegible]ომაობს იწყებს საბჭოთა კავ[illegible] კომუნისტური პარტიის [illegible] ყრილობა, რომელიც განსა[illegible]ავს საბჭოთა საზოგადოების [illegible]ნომიკური, სოციალურ-პოლი[illegible]ური და სულიერი განვითარე[illegible] მშვიდობის შენარჩუნებისა და [illegible]თაშორისო უშიშროების გან[illegible]ებისათვის ბრძოლის ახალ [illegible]ებს.

[illegible]ომუნისტური პარტია თავის [illegible]ობას ეგებება ხალხთან მჭი[illegible] ერთიანობით, საშინაო და სა[illegible] პოლიტიკის დარგში მოქმე[illegible] მკაფიო პროგრამით.

[illegible] ლენინის სახელთან, კომუ[illegible] პარტიის საქმიანობასთან [illegible]ულად არის დაკავშირებული საბჭოთა შეიარაღებუ[illegible]ების შექმნა და განვითა[illegible], მათი მთელი მგრიელი ის[illegible].

[illegible]ერ კიდევ 1917 წლის ოქტომ[illegible]ე ვ. ი. ლენინმა დასაბუთა, [illegible] რევოლუციაში გამარჯვებუ[illegible] პროლეტარიატმა უნდა შექ[illegible] საკუთარი სამხედრო ორგანი[illegible]. სოციალიზმის გამარჯვებამ [illegible] ქვეყანაში, წერდა იგი, უნდა [illegible]ეგიოს „არა მარტო შეწყა[illegible], არამედ სხვა ქვეყნების [illegible]ეუბიის პირდაპირი მისწრაფე[illegible] — განადგუროს სოციალის[illegible] სახელმწიფოს ძლევამოსილი [illegible]ლტარიატი“.

[illegible] წლის თებერვლის დამ[illegible] წოველი არმიის ახლად ჩა[illegible]ებებულმა ნაწილებმა გმი[illegible] წინააღმდეგობა გაუწიეს [illegible]რგადასულაენ დაძრული ჯერმა[illegible] დამპყრობლებს. 23 თებერვ[illegible] ფსკოვისა და ნარვის მიდამო[illegible] აგრეთვე ფრონტის სხვა უბ[illegible] მომხდარი შეუპოვარი ბრძო[illegible] შედეგად შეჩერებულ იქნა [illegible]ანის ჯარების შემოტევა. მას [illegible]ედ 23 თებერვალი—მუშურ-[illegible]ური წოთელი არმიის საბრძო[illegible] ნათლობის დღე, ყოველწლიუ[illegible] აღინიშნება როგორც საყოვე[illegible] -სახალხო დღესასწაული.

[illegible]ამ წელიწადზე მეტ ხანს მიმდი[illegible]ოდა გააფთრებული ბრძოლა [illegible]ქალაქო ომის ფრონტებზე. [illegible] საბჭოთა ადამიანები წმიდათა-წმიდად იცავენ მშვიდობას, რომელიც ესოდენ ძვირად დაუჯდათ. მაგრამ იმპერიალიზმის მიზეზით 70-80-იანი წლების მიჯნაზე შესამჩნევად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება. იმპერიალისტურმა და სხვა რეაქციულმა წრეებმა გააფთრებული კონტრიერიში მიიტანეს დაძაბულობის შენელებაზე, ისინი ამძაფრებენ დაძაბულობას მსოფლიოში, აჩაღებენ გამალებულ შეიარაღებას, პროვოკაციულად იწვევენ ახალ კონფლიქტებს.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს წევრი სხვა ქვეყნები ახორციელებენ ღონისძიებათა ფართო კომპლექსს, რათა მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებთან შედარებით. მშვიდობის საქმეს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების „ახალი ბირთვული სტრატეგია“ და ამერიკული საშუალო სიშორის ფრთიანი რაკეტების ევროპაში განლაგების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. სულ უფრო ხშირდება და ფართოვდება ნატოს გაერთიანებული, შეიარაღებული ძალების ერთობლივი მანევრები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ქვეყნების საზღვრების უშუალო სიახლოვეს ეწყობა.

იმპერიალისტურ რეაქციას მხარს უბამს პეკინი. სულ უფრო ავბედითი და დახვეწილი ხდება მისი ანტისაბჭოურობა, რეალობად იქცევა ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური დაახლოება.

რთულდება ვითარება ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებთან და საერთოდ მისთვის დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების საომარი სამზადისის მუდმივი ესკალაცია, მისი მისწრაფება გათიშოს არაბული სამყაროს ერთიანობა, გაამწვავოს ურთიერთობა ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფს შორის, შექმნას ახლო აღმოსავლეთში პროამერიკული რეჟიმების ახალი სამხედრო ბლოკი.

სიტუაციას რეგიონში კიდევ უფრო ამწვავებს ერაყ-ირანის გაჭიანურებული შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მხოლოდ იმპერიალიზმის ძალებს აძლევს ხელს.

ყოველივე ეს გვაიძულებს გამოვიჩინოთ მუდმივი სიფხიზლე იმპერიალიზმის აგრესიული ძალების საშიში ხრიკების მიმართ, ყოველნაირად განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ამავდროულად გავადიდოთ შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება.

წლითიწლობით მტკიცდება ოქტომბრის მეომართა შეგობრობა საქართველოს შრომითს კოლექტივებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან. პირადი შემადგენლობა ამაყობს იმით, რომ რესპუბლიკა ზედიზედ მერვედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ოქტომბრელ სამეომრები საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ახალ დიდ მიღწევებს უსურვებენ. ეს წარმატებანი ღირსეულ მაგალითად მიგვაჩნია. რესპუბლიკაში მეომართა აქტიური მონაწილეობით მომდინარეობს დიდი მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდასთან და სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მზადებასთან. არმიისა და ხალხის ერთიანობა კომუნიზმის მშენებლობასა და დაცვაში მოპოვებულ საერთო წარმატებათა საწინდარია.

ამერიკაკავკასიის წოთელ-დროშოვანი სამხედრო ოქტის მეომრები, რომლებიც გრძნობენ სისხლხორცეულ თანაზიარობას თავისი ხალხის დიად მიღწევებთან, პარტიის გრანდიოზულ და შთამაგონებელ გეგმებთან, ღირსეულად ხვდებიან სკკპ XXVI ყრილობას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 63-ე წლისთავს. მათ კარგად ესმით, რომ, რაც უფრო უკეთესია ჩვენი მერაკეტქეების, ტანკისტების, მფრინავების, მოტომსროლელების გაწვრთნილობა, რაც უფრო მტკიცეა მათი იდეური რწმენა, მით უფრო დიდია ხალხის რწმენა, რომ ჩვენი სამშობლოს ცა არასოდეს მოიღრუბლება, რომ იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების ყველა აგრესიული გეგმა ჩაესფუშავად იქნება განწირული. ეს მიაჩნია ყოველ საბჭოთა მეომარს თავისი მხედრული შრომის აზრად და მნიშვნელობად, თავის უშუალო წვლილად კომუნიზმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. (საქინფორმი).

ო. თ. კულიშევი,
ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი



სურათებზე: (მარცხნივ) **რიგითმა ჯარისკაცებმა გიორგი აბესაძემ და ელდარ ნაჯაფოვმა ხულ რამდენიმე თვის წინათ დაიწყეს არმიაში სამსახური. მეომრები გულმოდგინედ სწავლობენ მარგულირებლის საბრძოლო სპეციალობას; საბჭოთა შეიარაღებული ძალების მერაკეტქეები პოზიციაზე.**



საყრილობო ნობათები

ავტომატარებლები მოსკოვში მიდიან

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნიდან დედაქალაქში გაიგზავნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების „კაზ-4540“ საცდელი ნიმუშის სამი ავტომატარებელი. ქართველმა ავტომობილმშენებლებმა შეასრულეს სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი: გამოშვებულია ავტომატარებლების პირველი პარტია, რომლებმაც სახელმწიფო გამოცდა უნდა გაიარონ.

ავტომატარებლების გაგზავნასა და მოსკოვში სკკპ XXVI ყრილობაზე ქარხნის გამმართველის ჯ. გუგავას გაცილებასთან დაკავშირებით ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე გ. ცანავა, მთავარი ინჟინერი თ. გენძეგაძე, გამოცდილი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვაშაკიძე.

მიტინგის მონაწილეებმა ივალდებულეს დამკვრელურად იშრომონ ყრილობის დღეებში.

ავტომატარებლების კოლონამ კურსი მოსკოვისაკენ აიღო. მეწინავე ავტომატარებლის საქეს უზის გამოცდილი მძღოლი ზ. ენუქიძე. (საქინფორმი).

მეგალურთა წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ. ვ. **გორგილაძე**). აჭარის თევზჭერის სამმართველოს კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა ჯერ კიდევ 10 თებერვალს შეასრულა.

თევზის დასამუშავებელი საამქროს უფროსმა გ. არველაძემ შეგვატყობინა, რომ ნედლეულს 50-კილოგრამიან ყასრებში და 1.300-გრამიან ქილებში იფასოებენ. ახალი პროდუქცია ქვეყნის 25 ქალაქში, მათ შორის მოსკოვში, კიევში, ვორონეჟში, ზაპოროჟიეში და სხვა ქალაქებში იგზავნება.

თესვას შეუდგნენ

ბოლნისელი მეკარტოფილეები თესვას შეუდგნენ. ისინი საყრილობო ვახტზე დგანან. არახლოს, სარაჩლოს, კოჩოლოს და ფახრალოს საბჭოთა მეურნეობებმა სამ დღეში 40 ჰექტარზე დათესეს საადრეო კარტოფილი.

რაიონში ამ კულტურას წლიურს 3.500 ჰექტარი დაეთმობა. მთელი ეს ფართობი მზრალად არის მოხნული და მინერალური სასუქებით გაპოხიერებული.

ბოლნისელთა ვალდებულებაა აწარმოონ 55 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი, რაც შარშანდელ დონეს 5 ათასი ტონით აღემატება.

შეხვედრები მოსკოვში

რეპორტაჟი ტელეფონით

მოსკოვი, 20 თებერვალი. საბჭოეთის დედაქალაქი ეგებება კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დელეგატებს. ჩრდილოეთის ხუსხი და უჩვეულოდ გამობრწყინებული მზე განუმეორებელ კოლორიტს ქმნის.

დილის 11 საათი და 30 წუთია. ვერცხლისფრად მბზინავი ლაინერი „ტუ-154“ ვნუკოვოს ხაჰაერო ვაგზლის „ეშკართან“ გაჩერდა. და აი, ტრაპზე გამოჩნდნენ საქართველოდან კომუნისტური პარტიის მიერ წარგზავნილი დელეგატები—მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ისინი, რომელთა შრომითმა თავდადებამ შორს გაუოქვა სახელი ჩვენს რესპუბლიკას. მეგობრული შეხვედრები, ღიმილი, მისალმებები, ყვავილების ზღვა ირგვლივ...

—ამ ბოლო დღეებში ჩვენთან საკმაოდ აცივდა, მაგრამ თქვენ ამდენი ხითბო და ღიმილი ჩამოგვიტანეთ, რომ მთელ ქალაქს ეყოფა, — გულწრფელად მიმართავენ მოსკოველები თავიანთ ქართველ მეგობრებს.

საყრილობო დელეგაციაში პარტიის ერთგული შვილების შრომითი გმირობისა და მეგობრობის ესტაფეტა გრძელდება.

საქართველოს დელეგაცია დაბინავდა სასტუმრო „მოსკოვში“, რომელიც ხაზეიმოდ მორთულ-მოკაზმული შეეგება ძვირფას სტუმრებს. სწორედ აქ, კრემლის დიდი სახახლის გიორგის დარბაზში დელეგატთა რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, მოგვეცა საშუალება გავსაუბრებოდით ყრილობის დელეგატებს.

ვ. ხურკინი—პარტიის XXVI ყრილობის დელეგატი, მოსკოვის № 8 ავეჯის ფაბრიკის მუშა: „ქართველი მეგობრებისა და ძმების ჩამოსვლა ჩვენთვის ყოველთვის სახიხარულოა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ყრილობისწინა დღეებში, როცა მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები შეიკრიბნენ მოსკოვში, თავიანთ დიდ ფორუმზე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეხვედრა სახიხარულო და გულწრფელი მეგობრობის დღესასწაულად გადაიქცევა. იგი შრომის, ბარაჯის და დაუშრეტელი სიკეთის სადიდებელი სიმღერაა, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის სიმღერა, ფეხვები საუკუნეთა მიღმა რომ აქვს გადგმული.

არსენ ღოლიჯაშვილი — გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი: ყრილობის დღეებში ბევრ ჩემს მეგობარს შეეხვდები, გამოვნახავ დროს, რათა ჩავიდე და ვინახულო მოსკოვის ოლქის ქრამენსკოეს მშრომელები, რომლებთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული და ერთმანეთისაგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. რამენსკოელები ხშირად ჩამოდიან საქართველოში. ჩვენც ხშირი სტუმრები ვართ; გადავხედეთ რუსეთის ხფხრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, კოლმეურნეობა „ალამიას“ ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს ვლ. კაშევს და ყველა ჩვენს რამენსკოელ მეგობარს. მოუთმენლად ველი ყრილობის გახსნას.

მოსკოვი, 21 თებერვალი. გუშინ საღამოს მოსკოვის უდიდეს კინოთეატრ „როსიაში“, სპეციალურად პარტიის XXVI ყრილობის დელეგატებისათვის, უჩვენეს რ. ჩხეიძის ახალი მხატვრული ფილმი „მშობლიური ჩემო მიწავ“.

კინოთეატრის დარბაზში სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გაგეგობის პირველი მდივანი ლ. კულიჯანოვი შეკრებილთ წარუდგენს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებს საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან. მათ შორის არიან ამხანაგები გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, ნ. ა. ვეთანავა, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოხაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. ხანაკოევი.

საერთოდ ყოველი ხელოვნების, ამ შეხვედრაში კი კინოს დანიშნულებაა ხიხარული და ბედნიერება მოუტანოს ადამიანს. ჩვენი ფილმის გმირი პარტიული მუშაკის ახალ პირნათელ, პრინციპულ ტიპს განასახიერებს, რომელიც მოწოდებულია სწორედ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის,—აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რ. ჩხეიძემ ფილმის „მშობლიური ჩემო მიწავ“ პრემიერის წინ. იწყება ფილმის ჩვენება, და მთავარი გმირი გიორგი თორელიც იწყებს ცხოვრებას მოსკოვის ეკრანებზე.

ფილმის დამთავრების შემდეგ მაყურებელი დიდხანს არ დაშლილა, ჯგუფ-ჯგუფად, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, მიდიოდნენ ჩვენი დელეგაციის წევრებთან და ავტოგრაფებს ართმევდნენ მათ. აი, რა განაცხადა ჩვენთან საუბარში საბჭოთა კინომცოდნემ, ცნობილმა კრიტიკოსმა ა. ზორკიმ: „რ. ჩხეიძის სურათზე უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა როგორც ცენტრალურ პრესაში (მხედველობაში მაქვს გაზეთი „პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილი), ისე მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებში. მაინც მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას, სურათის გმირი—გიორგი თორელი დიდი ადამიანური ხითბოთი და ზნეობრივი სიწმინდით არის დაჯილდოებული. სწორედ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ დაირაზმონ ახალ-ახალი გამარჯვებისათვის, გვიჩვენონ შემართება და თავდადება. ჭეშმარიტად დიდებული და დაუვიწყარია ფილმის ფინალი, როცა ხალხი უბრუნდება მშობლიურ მესხეთის მიწას. ამის გამო ხიხარული სუფევს და ისმის გარდაქმნილი მიწის გამარჯვების სიმღერა.

ფილმი „მშობლიური ჩემო მიწავ“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სერიოზული ნაწარმოებია, რომლითაც საბჭოთა კინო ეგებება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

დ. მაჭავარიანი,
ვ. მჭედლიშვილი,
გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

სურათზე: მოსკოვი. საქართველოდან წარგზავნილი სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები წითელ მოედანზე.

ხაქინფორმის სპეციალური კორესპონდენტების ვ. ფატიკაშვილისა და ი. ფაციოაშვილის ტელეფოტო.

ყრილობის პრესცენტრში

ყრილობის პრესცენტრში გრძელდება ჟურნალისტების შეხვედრები მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა წარმომადგენლებთან. 20 თებერვალს დილის პრესკონფერენციაზე გამოვიდა არგენტინის კომპარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი პარტიის გენერალური მდივანი ა. ფავა. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ვიმყოფებთ მოსკოვში, რომელიც სადღესასწაულოდ მორთული ეგებება სკკპ XXVI ყრილობას — მსოფლიო მნიშვნელობის უთვალსაჩინოეს მოვლენას, თქვა მან. ახლა მოსკოვს შემოსცქერის ყველა კეთილი ნების ადამიანი. არგენტინელი კომუნისტები მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომელიც ნიადგ ზრუნავს მშრომელთა კეთილდღეობისა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ა. ფავამ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული კამპანია, რომელიც მიმართულია მთელი მსოფლიოს, კერძოდ, ლათინური ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამ პროვოკაციული კამპანიის მოშველიებით, თქვა მან, ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებს ინტერვენციას სალვადორში. ვაშინგტონს სურს წინანდებურად იბატონოს ლათინურ ამერიკაში, როგორც საკუთარ „ეზოში“, მაგრამ ამას ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო.

პასუხი რომ გასცა ესპანელი კორესპონდენტის შეკითხვას „ევროკომუნიზმის“ შესახებ, ა. ფავამ ხაზი გაუსვა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ერთიანი და განუყოფელი მოძღვრებაა. არ არსებობს არც ევროპული, არც ლათინურ-ამერიკული და არც აზიური კომუნიზმი. „ევროკომუნიზმს“ არაა სოდეს ჰქონია და არც ექნება მომავალი. თავად ცხოვრება თვალნათლივ ცხადყოფს დიდი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორეს და ჭეშმარიტებას.

შეეხო რა პეკინის ხელმძღვანელობის ჰეგემონისტურ კურსს, ა. ფავამ განაცხადა, რომ არგენტინელი კომუნისტები გადაჭრით გმობენ მაოისტურ პოლიტიკას. ეს უპირველესად და უპირსპექტივო პოლიტიკა მხოლოდ პეკინის ჰეგემონისტურ და შოვინისტურ მიზნებს ემსახურება. ლათინური ამერიკის ხალხი პეკინელ ლიდერებს კონტრრევოლუციონერებად თვლიან. მათმა ალიანსმა ჩილეს პინოჩეტის ფაშისტურ ხუნტასთან სავსებით გამოააშკარავა პეკინის ნამდვილი მიზნები ლათინურ ამერიკასა და მთელ მსოფლიოში. (საკდესის სპეც. კორ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 19 თებერვალს მიიღო ბრძანებულება „მატერიალური წარმოების ყველა დარგის მუშებსა და ოსტატებზე, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს მუშებზე პირველი, მეორე და მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენით დაჯილდოების გავრცელების შესახებ“.

ბრძანებულება ითვალისწინებს, რომ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენი დაწესებულია მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგების მუშებისა და ოსტატების, კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის მუშების, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს მუშების დასაჯილდოებლად ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში მრავალი წლის თავდადებული მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტი ტექნიკურ ინფორმაციისა და ეკონომიკურ კვლევათა საკითხებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის შეჯიბრების გამარჯვებულნი

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ შეაჯამეს შედეგები სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრებისა 1980 წელს კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებისათვის. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ბევრმა ადგილობრივმა საბჭომ, რომლებიც პრაქტიკულად ეხმარებიან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს პირუტყვის შეძენასა და საკვებით უზრუნველყოფაში, წარმატებით შეასრულეს კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა პირად დამხმარე მეურნეობებში ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების დავალებანი.

მაგრამ მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული. ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მთელ რიგ რაიონებში საკმარისად არ უწყობენ ხელს იმას, რომ სოფლის თითოეულ ოჯახს ჰქონდეს ბოსტანი და თავის მეურნეობაში ამრავლებდეს პირუტყვსა და ფრინველს, რომ რაც შეიძლება მეტმა ოჯახმა იყოლიოს პირუტყვი. დროულად გამოუყონ საძოვარი, მისცენ ტრანსპორტი დამზადებული საკვების გადასაზიდად, დაეხმარონ პირუტყვის ძოვების ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ გადაწყვიტეს: სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს შორის პირველი პრემია 800-800 მანეთის ოდენობით და მსუბუქი ავტომანქანა მიეცეს: ბოგდანოვკის რაიონის ფოკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ზოროგლიანი), ყაზბეგის რაიონის სნოს სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ღუდუშაური), მახარაძის რაიონის ნატანების სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ქინქლაძე).

მეორე პრემია 600-600 მანეთის ოდენობით მიენიჭა: მარნეულის რაიონის ალგეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. რზაევი), წალკის რაიონის წალკის სახალხო დეპუტატთა . სადაბო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. კოტანოვი), ახალქალაქის რაიონის კარწახის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. მურადიანი), ასპინძის რაიონის ორგორის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ბერიძე), გარდაბნის რაიონის ქესალოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ალიევი).

მესამე პრემია 400-400 მანეთის ოდენობით მიიღო: გორის რაიონის კარალეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ჩალიძე), მაიაკოვსკის რაიონის ნერგეეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. კაკუშაძე), ზუგდიდის რაიონის ანაკლიის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ჭედია), დუშეთის რაიონის ბაზალეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. შაბურიშვილი), საგარეჯოს რაიონის პატარძეულის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ლაფერიშვილი).

სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებს შორის პირველი პრემია 600 მანეთის ოდენობით და მსუბუქი ავტომანქანა მიენიჭა გარდაბნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. რაგიმოვი), მეორე პრემია 450 მანეთის ოდენობით — თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. მურადოვა).

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დავალათ ფართოდ გაშალონ სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. (საქინფორმი).

პირველიდან ოცდამეექვსემდე

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ სახელოვანი და ისტორიული გზა განვლო. დღეს, ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის გახსნის წინ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ყველა წინა ყრილობა, როგორც ამ გზის მთავარი ეტაპები.

I

გაიმართა ფარულად მინსკში 1898 წლის 1-3 მარტს და მას 9 დელეგატი ესწრებოდა 6 ორგანიზაციიდან. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად (რსდმპ) მათი გაერთიანების შესახებ, აირჩია ცენტრალური კომიტეტი სამი კაცის შემადგენლობით. პარტიის უმაღლეს ორგანოდ აღიარა ყრილობა, ხოლო ოფიციალურ ორგანოდ — „რაბოჩაია გაზეთა“. 1898 წლის აპრილში ყრილობის სახელით გამოვიდა მანიფესტი, რომელშიც მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მოკავშირეების საკითხები.

ყრილობას არ განუხილავს პროგრამისა და წესდების საკითხი. ამიტომ ფაქტობრივად ვერ შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველი ყრილობის მიერ პარტიის შექმნის გამოცხადებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

II

1903 წლის 17 ივლისიდან 10 აგვისტომდე არალეგალურად მიმდინარეობდა ჯერ ბრიუსელში, შემდეგ — ლონდონში. მას 43 დელეგატი ესწრებოდა, რომელთაგ 57 გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდათ. დელეგატთა შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო: „ისკრის“ მიმდევრებს 33 ხმა ჰქონდათ, ამათგან ლენინელებს — 24 ხმა, „რბილ“ ისკრელებს, რომლებიც მარტოს მიჰყვებოდნენ, — 9 ხმა, ანტიისკრელებს — 8 ხმა. ყრილობას ესწრებოდნენ ეგრეთ წოდებული მერყეევი ცენტრისტებიც, რომელთაც 10 ხმა ჰქონდათ.

ყრილობამ 20-ზე მეტი საკითხი განიხილა, მათგან ძირითადი იყო პროგრამისა და წესდების მიღების, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული ცენტრის არჩევის საკითხები. ამ საკითხებზე გაიმართა ცხარე ბრძოლა რევოლუციურ მარქსისტებსა და ოპორტუნისტებს შორის. პროგრამის განხილვის დროს მეტად მწვავე იყო კამათი პარტიის ხელმძღვანელი როლის, პროლეტარიატის დიქტატურის, აგრარული და ეროვნული საკითხების თაობაზე. ამის მიუხედავად ლენინმა და მისმა თანამიმდევრებმა მტკიცედ დაიცვეს პროგრამის პრინციპული დებულებები და მიღებულ იქნა იგი.

პარტიის აგების ორგანიზაციული პრინციპის განხილვის დროს წარმოდგენილი იყო წესდების ორი პროექტი. ლენინური ფორმულირება პარტიის წევრისაგან მოითხოვდა მტკიცე დისციპლინას, პარტიის კონტროლს და განუხრელ ხელმძღვანელობას, რითაც აძლევდა მას მერყეევ ელემენტების შეღწევას. მარტოვის ფორმულირებაში კი პარტიის წევრად ხდებოდა ყველა მსურველი ისე, რომ ვალდებული არ იყო ემუშავა მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში.

ყრილობის მიმდინარეობის დროს გამოიკვეთა ვ. ი. ლენინის უდიდესი როლი პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში. ყრილობამ უარყო ბუნდის ნაციონალიზმი, რომელიც ცდილობდა პარტიაში შესვლას ფედერალურ საწყისებზე. პარტიის ცენტრალურ ორგანოდ ყრილობამ ერთხმად აღიარა გაზეთი „ისკრა“.

„ისკრის“ რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს გაიმარჯვა ლენინურმა ბაზამ ამ დროიდან ლენინის მომხრეებს, რომლებმაც არჩევნების დროს ხმების უმრავლესობა მიიღეს, „ბოლშევიკები“ ეწოდათ, ხოლო „რბილ“ ისკრელებს ხმების მცირე რაოდენობის გამო — „მენშევიკები“.

რსდმპ მეორე ყრილობის ძირითადი შედეგია რუსეთში რევოლუციური, მარქსისტული პარტიის — ბოლშევიკური პარტიის შექმნა. „ბოლშევიზმი, — წერდა შემდეგ ვ. ი. ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა, 1903 წლიდან არსებობს“.

III

გაიმართა ლონდონში, 1905 წლის 12-27 აპრილს, ესწრებოდა 24 დელეგატი და 14 — სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობამ განიხილა მიმდინარე რევოლუციის ძირითადი საკითხები: შეიარაღებული აჯანყების; დროებითი რევოლუციური მთავრობის; გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების; პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ; ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და არჩევნები და სხვა საკითხები.

რევოლუციის გამარჯვებისათვის დაისახა სტრატეგიული გეგმა. იგი ითვალისწინებდა განვითარების ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე პროლეტარიატს გლეხთასთან კავშირით უნდა მოეხდინა ბურჟუაზიის ნეიტრალიზაცია და ებრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის, ე. ი. დაემხო თვითმპყრობელობა, მოესპო ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთები და დაუმყარებინა დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე ეტაპზე პროლეტარიატს გლეხობის უღარბეს ნაწილთან და ნახევრად პროლეტარიატთან კავშირით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია სოციალისტურ რევოლუციაში უნდა გადაეზარდა.

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ყრილობამ დაამუშავა ტაქტიკური ხაზიც. მან პირველი რიგის ამოცანად შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაცია დააყენა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ცარიზმის დამხობისა და საბალო რევოლუციის გამარჯვების შედეგად დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა, რომელიც განსახიერებდა გამარჯვებული კლასების დიქტატურის მთავრობას, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას. ყრილობამ მიიღო რსდმპ ახალი წესდება, რომლის პირველი პარაგრაფი ფორმირებულია ლენინური კონცეფციით.

მესამე ყრილობის ძირითადი შედეგი ის არის, რომ მან შეაიარაღა პარტია და მუშათა კლასი დემოკრატიული რევოლუციის საბრძოლო პროგრამით. ყრილობის გადაწყვეტილებები საფუძვლად დაედო რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

IV

(გამაერთიანებელი). მუშაობდა სტოკჰოლმში 1906 წლის 10-დან 25 აპრილამდე, ესწრებოდა 112 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, მათ შორის 46 ბოლშევიკი და 62 მენშევიკი. ყრილობის ასეთმა შემადგენლობამ განსაზღვრა მის გადაწყვეტილებათა მენშევიკური ხასიათი. ყრილობამ განიხილა 15 საკითხი, რომელთაგან ძირითადი იყო: აგრარული საკითხი, მომდინარე მომენტი და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები, სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულება, ორგანიზაციული და სხვა საკითხები.

აგრარული საკითხის განხილვის დროს წამოყენებული იყო მიწის საკითხის გადაწყვეტის ორი შესაძლებლობა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მიწის მთლიან ნაციონალიზაციას, რაც ნიშნავდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას, მათი კერძო საკუთრების გაუქმებას და დემოკრატიული სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადებას, ეს რუსეთის პირობებში აგრარული საკითხის ერთადერთ სწორ გადაჭრას წარმოადგენდა. მენშევიკები იცავდნენ მუნიციპალურ პროგრამას, ე. ი. მემამულეთა მიწების თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების (მუნიციპალიტეტების) ხელში გადასვლას. აგრარული საკითხის მენშევიკური გადაწყვეტა ვერ დარაზმავდა გლეხებს რევოლუციური ბრძოლისათვის, ვინაიდან არ ითვალისწინებდა მემამულური მიწათმფლობელობის სრულ მოსპობას.

ყრილობამ ხმის უმრავლესობით მიიღო მენშევიკების პროგრამა.

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს 3 ბოლშევიკი და 7 მენშევიკი, ხოლო ცენტრალური კომიტეტის მთავარი ორგანოს — გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციას მარტო მენშევიკები დაეპატრონნენ. ყრილობაზე ყოველი საკითხის განხილვისას ბოლშევიკებს მწვავე პრინციპული ბრძოლა უხდებოდათ მენშევიკებთან.

მეოთხე ყრილობა ისტორიაში შევიდა როგორც გამაერთიანებელი, მაგრამ ყრილობაზე მოხდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების მხოლოდ ფორმალური გაერთიანება რსდმ პარტიის ფარგლებში. სინამდვილეში ბოლშევიკებსა და მენშევიკებსაც თავიანთი შეხედულებანი, თავიანთი პლატფორმა ჰქონდათ რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

V

გაიმართა 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე ლონდონში, ესწრებოდა 303 დელეგატი გადამწყვეტი და 39 — სათათბირო ხმის უფლებით.

ყრილობის დღის წესრიგში იყო: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; სათათბიროს ფრაქციის ანგარიში; პარტია და პროფკავშირები, პარტიზანული გამოსვლები და სხვა საკითხები.

ფართო დისკუსია გაჩაღდა ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო. ბოლშევიკებმა მკაცრად გააკრიტიკეს მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო, ბოლშევიკური რეზოლუციები მიიღეს ყველა ძირითად განხილულ საკითხზე. ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 12 კაცის შემადგენლობით, რომელშიც უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ.

მეხუთე ყრილობის ძირითადი შედეგია ლენინიზმის გამარჯვება რუსეთის მუშათა მოძრაობაში.

VI

გაიმართა პეტროგრადში, ნახევრად ლეგალურ ვითარებაში, 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე. ყრილობას ესწრებოდა 157 დელეგატი გადამწყვეტი და 110 — სათათბირო ხმის უფლებით. დღის წესრიგში იყო: ორგბიუროს მოხსენება; რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, წესდებაში ცვლილებების შეტანა, ორგანიზაციული და სხვა საკითხები. ყრილობას ვ. ი. ლენინი არ ესწრებოდა, მაგრამ წარმართავდა მის მუშაობას იატაკქვეშეთიდან. ერთ-ერთ პირველ საკითხად განიხილეს ვ. ი. ლენინის სასამართლოზე გამოცხადების საკითხი. დელეგატებმა ერთხმად უარყვეს ლენინის სასამართლოზე გამოცხადების მოსაზრება. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშე და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ბ. სტალინმა. მოხსენებაში აღინიშნა, რომ რევოლუცია იზრდება, ვითარდება და თავისი ხასიათით სოციალისტური ხდება. ამიტომ რეზოლუციაში ჩაიწერა პროლეტარიატის მიერ სოფლის უღარბეს გლეხობასთან ერთად აჯანყების გზით ბურჟუაზიული დიქტატურის დამხობა. განხილული იყო პარტიისა და პროფკავშირების ურთიერთობის საკითხი. პარტიის ყველა წევრს დაეკალა შესულიყვნენ კავშირებში და შეექმნათ იქ თავიანთი ფრაქციები. ახალგაზრდობაში მუშაობის განხილვისას ყრილობამ საჭიროდ ცნო შექმნილიყო ახალგაზრდობის კავშირები, რომლებიც ორგანიზაციულად არ დაექვემდებარებოდნენ პარტიას, მაგრამ იმუშავებდნენ მისი იდეური ხელმძღვანელობით.

მეექვსე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან აიღო შეიარაღებული აჯანყების კურსი.

VII

გაიმართა პეტროგრადში 1918 წლის 6-8 მარტს. დაესწრო 46 დელეგატი გადამწყვეტი და 58 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მწვავე ბრძოლა გაიმართა ბრესტის ზავის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. „მემარცხენე კომუნისტები“ დამარცხდნენ. ყრილობამ დაადასტურა ლენინური ხაზის სისწორე და საჭიროდ ცნო დაამტკიცებინა გერმანიასთან დადებული ზაზავი ხელშეკრულება. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პროგრამის შეცვლის შესახებ: ოქტომბრის რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად პარტიის პირველი პროგრამა შესრულდა. ახალი პროგრამის შესამუშავებლად ყრილობამ აირჩია კომისია.

მეშვიდე ყრილობამ შეასრულა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა. მან მიაღწია საბჭოთა ქვეყნის გამოსვლას ომიდან და რუსეთის ხალხებს მისცა ზავი.

VIII

გაიმართა 1919 წლის 18-23 მარტს მოსკოვში. ესწრებოდა 301 დელეგატი გადამწყვეტი და 102 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რკპ (ბ) წინაშე ახალი ამოცანა დააყენა: ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გაძლიერება და სოციალიზმის აშენება; ეს აისახა ყრილობაზე მიღებულ პარტიის მეორე პროგრამაში.

სოფლად მუშაობის შესახებ სათხის განხილვისას ყრილობამ განსაზღვრა, რომ პარტია დასდგომოდა ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკას, ებრძოლა კულაკების, საბჭოთა ხელისუფლების ყველა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. ყრილობაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო წითელი არმიის მშენებლობის საკითხს, უარყოფილ იქნა „სამხედრო ოპოზიციის“ მიერ დაყენებული საკითხები. მიღებულ რეზოლუციაში არმიის მშენებლობისა და მოქმედების მთავარ პრინციპად აღიარებულია პარტიის ხელმძღვანელობა ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალებისადმი.

პარტიული მშენებლობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში ყრილობამ დასახა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა განმტკიცების ღონისძიებანი, განსაზღვრა ცენტრალური კომიტეტის შინაგანი სტრუქტურა, ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს საოლქო კომიტეტების უფლებები მიეცათ და რუსეთის ერთიანი კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს დაექვემდებარნენ.

ყრილობამ დაგმო საფრონოვ-ოსინსკის ოპორტუნისტული ჯგუფის გამოხდომა პარტიის ხელმძღვანელი როლის დაკნინების შესახებ. ყრილობა მიესალმა III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნას და მთლიანად მიემხრო მის პლატფორმას.

IX

მიმდინარეობდა 1920 წლის 29 მარტიდან 5 აპრილამდე მოსკოვში. ესწრებოდა 554 დელეგატი გადამწყვეტი და 162 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. დღის წესრიგში იყო: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; სამეურნეო მშენებლობის ამოცანები; პროფესიული მოძრაობისა და სხვა საკითხები. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ერთიანი სამეურნეო გეგმის შედგენას, რომელიც პირველ რიგში ტრანსპორტის, სათბობის მრეწველობის, მეტალურგიის აღმავლობას ითვალისწინებდა. მასში მთავარი ადგილი დაეთმო სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციას, რომელიც ლენინმა წამოაყენა როგორც „დიადი პროგრამა 10-20 წლისათვის“. ამ საფუძველზე შეიმუშავეს შემდეგ „გოელრო“.

X

მიმდინარეობდა 1921 წლის 8-16 მარტს მოსკოვში. დაესწრო 694 დელეგატი გადამწყვეტი და 296 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებული იყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშსა და ვ. ი. ლენინის მოხსენებაში სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ. სამოქალაქო ომის დროს შემოღებული სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა, ქვეყნის მშვიდობიან რელსებზე გადასვლის პერიოდში აბრკოლებდა სახალხო მეურნეობის განვითარებას, ხელს უწყობდა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის გათიშვას. პროლეტარული სახელმწიფო სასურსათო გადასახადის ფორმის შემოღების დროს გლეხისაგან აიღებდა სურსათის არა მთელ ნამატს, არამედ ნაწილს, ნარჩენ ნამატი გლეხს შეეძლო თავისუფლად გაეყიდა ბაზარზე. ეს მას მისცემდა სტიმულს.

ყრილობამ განიხილა ეროვნული საკითხი, რომელსაც მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობა ჰქონდა. პარტიამ შეიმუშავა ჩამორჩენილი ხალხების სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმის მეთოდი, გაითვალისწინა თითოეული მათგანის თავისებურებანი.

პარტიის ერთიანობის საკითხი ყრილობის მუშაობის ცენტრში იდგა. მკაცრად დაგმეს ფრაქციულობა. სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში მკაცრად იყო დაგმობილი „მუშათა ოპოზიციის“ შეხედულებანი.

პარტიული მშენებლობის საკითხის განხილვის დროს ყრილობამ უარყო სამოქალაქო ომის პერიოდისათვის დამახასიათებელი რეგლამენტი და ფართო გასაქანი მისცა შინაპარტიული დემოკრატიის გამოცოცხლებასა და განვითარებას.

შეჯამა რა პროფკავშირების შესახებ ყრილობის წინ დაწყებული დისკუსიის შედეგები, ყრილობამ მიიღო ლენინური პლატფორმა, სადაც დაგმა ტროცკისტების, „მუშათა ოპოზიციის“, „დეცისტების“ შეხედულებანი, დასახა პროფკავშირების ძირითადი ამოცანები.

მეათე ყრილობას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მან დასახა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გზები; სოციალიზმის მშენებლობის მეთოდები ახალ პერიოდთან შედარებით.

XI

1922 წლის 27 მარტიდან 2 აპრილამდე მიმდინარეობდა მოსკოვში და დაესწრო 522 დელეგატი გადამწყვეტი, ხოლო 165 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობამ განიხილა: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში; ორგანიზაციული საკითხი; პარტიის წმენდის შედეგები; პარტიის რიგების განმტკიცების და სხვა საკითხები. შეჯამდა ეკონომიკური პოლიტიკის ერთი წლის შედეგები, დაისახა ახალი ამოცანა — ძალების გადაჯგუფება კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევისათვის.

ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია პარტიის რიგების განმტკიცების, მისი პროლეტარული ბირთვის გაღიდების საკითხს. პარტიაში არაპროლეტარული ელემენტების შესვლის გაძლერების მიზნით დაწესდა სამი კატეგორია.

რკპ (ბ) მეთერთმეტე ყრილობა უკანასკნელი ყრილობა იყო, რომელსაც ვ. ი. ლენინი დაესწრო და რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა ი. ბ. სტალინი.

XII

1923 წლის 17-25 აპრილს გაიმართა მოსკოვში. ესწრებოდა 408 დელეგატი გადამწყვეტი და 417 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. დღის წესრიგში იყო ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები; მრეწველობის; ეროვნული; სოფლად საგადასახადო პოლიტიკის და სხვა საკითხები. მძიმე ავადმყოფობის გამო ვ. ი. ლენინი ყრილობას ვერ დაესწრო, მაგრამ ამ ფორუმის მუშაობა იმ სახელმძღვანელო მითითებებით მიმდინარეობდა, რომლებიც ბელადის სტატიებსა და წერილებში იყო მოცემული. ყრილობამ შეაჯამა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ორი წლის შედეგები, აღნიშნა, რომ სამეურნეო ორგანოების მუშაობისათვის პასუხისმგებლობა პარტიას აკისრია და ამიტომ იგი უნდა განსაზღვრავდეს და ამოწმებდეს კიდევ ამ მუშაობას. ყრილობამ ხაზი გაუსვა პარტიის უახლოეს ამოცანას სახელმწიფო აპარატის სრულყოფის საქმეში; მიიღო დადგენილება ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეერთების შესახებ.

XIII

გაიმართა 1924 წლის 23-31 მაისს მოსკოვში. მის მუშაობაში მონაწილეობდა 748 დელეგატი გადამწყვეტი, ხოლო 416 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობის დღის წესრიგში იდგა: ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში, ვაჭრობის კოოპერაციის, სოფლად მუშობის და სხვა საკითხები.

ყრილობამ სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და ორგანიზაციული მუშაობა, აღნიშნა მისი ლენინური სიმტკიცე ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაამტკიცა XIII კონფერენციის რეზოლუცია, რომელშიც ტროცკიზმი დახასიათებულია როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრა.

კომუნისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საკითხებს.

თითოეულ დელეგაციას ცალკე დაურიგდა ვ. ი. ლენინის „წერილი ყრილობისადმი“, რომელიც ანდერძის სახელწოდებით არის ცნობილი. მასში აღნიშნულია პარტიის ერთიანობის შენარჩუნების, ისეთი მტკიცე ცენტრალური კომიტეტის შექმნის აუცილებლობა, რომელსაც უნარი ექნებოდა თავიდან აეცილებინა პარტიის გათიშვა. იგი იძლეოდა წინადადებებს გადდებულიყო ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვი, რათა ამაღლებულიყო მისი ავტორიტეტი, და თავიდან აეცილებინათ იმის შესაძლებლობა, რომ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ წევრს შორის კონფლიქტს დიდი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ მოეხდინა პარტიის ბედზე.

XIV

მიმდინარეობდა 1925 წლის 18-31 დეკემბერს მოსკოვში. მას ესწრებოდა 665 დელეგატი გადამწყვეტი და 641 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. დღის წესრიგში იდგა: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები, პროფკავშირის, კომკავშირის მუშაობის, პარტიის წესდების შეცვლის და სხვა საკითხები.

ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, რომელმაც განამტკიცა სოციალიზმის პოზიციები. მან ამავე დროს აღნიშნა, რომ „ქვეყანა მანქანებისა და მოწყობილობების შემომტანი ქვეყნიდან უნდა გადაიქცეს მის მწარმოებელ ქვეყნად“, ე. ი. საჭირო იყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელება. სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანების განხილვის დროს პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებით იმის თაობაზე, რომ „სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლა პარტიის ძირითადი ამოცანაა“.

მიღებულ იქნა ახალი წესდება, რომლის მიხედვით პარტიას ეწოდა საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) საკ. კპ (ბ).

XV

(1927 წლის 2-19 დეკემბერი, მოსკოვი). ესწრებოდა 898 დელეგატი გადამწყვეტი და 771 — სათათბირო ხმის უფლებით. დღის წესრიგში იდგა: ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები, დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის, სოფლად მუშობის, ოპოზიციის და სხვა საკითხები.

ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობა. საგარეო პოლიტიკის დარგში ცენტრალურ კომიტეტს დაუკალა განუხრელად გაატაროს მშვიდობისათვის ბრძოლის ლენინური ხაზი; საშინაო პოლიტიკის მხრივ ყრილობამ დირექტივა მისცა პარტიას შეუნელებელი ტემპით განეგრძო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობას, გამოაარკვია მისი ნელი ტემპით განვითარების მიზეზები, რაც გამოწვეული იყო მეურნეობის დაქუცმაცებულობით, პრიმიტიული ტექნიკით, ძირითადად ხელის შრომის გამოყენებით. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივ გაშლის თაობაზე, აგრეთვე დირექტივა სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ.

ყრილობამ განიხილა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის საკითხი და აღნიშნა, რომ ოპოზიციამ გაწყვიტა იდეური კავშირი ლენინიზმთან, გადაგვარდა მენშევიკურ ჯგუფად, დაადგა საერთაშორისო და შინაგანი ბურჟუაზიის ძალების წინაშე კაპიტულაციის გზას. ამიტომაც ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული კრების დადგენილება ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის შესახებ და დაადგინა ამ ბლოკის აქტიურ მონაწილეთა გარიცხვაც.

მეთხუთმეტე ყრილობა ისტორიაში შევიდა როგორც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მთელ ფრონტზე სოციალისტური შეტევის მომზადების ყრილობა.

XVI

მიმდინარეობდა 1930 წლის 26 ივნისიდან 13 ივლისამდე მოსკოვში. მას 1268 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით ესწრებოდა, ხოლო 891 დელეგატი — სათათბირო ხმის უფლებით.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში გაანალიზებული იყო ის დიდი გამარჯვებები, რომლებიც პარტიამ სოციალისტური შეტევის გაშლით მოიპოვა, მაგრამ ამავე დროს მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპის მიუხედავად ქვეყანა ტექნიკურ-ეკონომიკურად ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ყრილობამ ხაზი გაუსვა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ამ ტემპის შენელებას ესწრაფოდა. აღინიშნა, რომ გარდატეხა ხდება სოფლის მეურნეობაში, რაც სოციალიზმისაკენ გლეხობის ფართო მასების შემობრუნებით გამოიხატება.

მეთექვსმეტე ყრილობა ისტორიაში შევიდა როგორც მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა.

XVII

მიმდინარეობდა 1934 წლის 26 იანვრიდან 10 თებერვლამდე მოსკოვში. მას ესწრებოდა 1225 დელეგატი გადამწყვეტი და 736 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობის დღის წესრიგში იდგა: ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშა და გლეხთა ინსპექციის საანგარიშო მოხსენებები, მეორე ხუთწლედის გეგმის დამტკიცების და სხვა საკითხები. ყრილობამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში გაბატონებული გახდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა საერთო-სახალხო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმებით, ამავე დროს ხორციელდებოდა კულტურული რევოლუცია.

ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების II ხუთწლიანი გეგმა, რომელშიც წინა პლანზე იყო წამოწეული კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მიზეზების სავსებით მოსპობის, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების და სხვა საკითხები.

ყრილობამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია პარტიული და საბჭოთა მშენებლობის შესახებ. ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშათა და გლეხთა ინსპექცია გარდაიქმნა პარტიული კონტროლის კომისიად (საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან), შეიქმნა საბჭოთა კონტროლის კომისია (სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან).

ყრილობამ დაამტკიცა პარტიის წესდება ახალი რედაქციით.

მეჩვიდმეტე ყრილობა ისტორიაში შევიდა როგორც „გამარჯვებულთა ყრილობა“.

XVIII

გაიმართა 1939 წლის 10-21 მარტს მოსკოვში. მას ესწრებოდა 1569 დელეგატი გადამწყვეტი და 466 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. ყრილობის დღის წესრიგში იდგა: ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშები, სახალხო მეურნეობის მესამე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისა და სხვა საკითხები.

ყრილობამ შეაჯამა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარება განვლილ ხუთწლედში, გააანალიზა საერთაშორისო მდგომარეობა და ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ამოცანები.

მეორე ხუთწლედის შესრულებით ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ამშენდა სოციალისტური საზოგადოება, მოხდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია უახლესი ტექნიკის საფუძველზე. ყრილობამ წამოაყენა ძირითადი ეკონომიკური ამოცანა: დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

დელეგატებმა განიხილეს და დაამტკიცეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ყრილობამ მიიღო საკ. კპ (ბ) ახალი წესდება. გაუქმდა პარტიაში მიღებისას სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილების მიხედვით. შემოღებულ იქნა ერთიანი პირობები და ერთიანი საკანდიდატო სტაჟი.

XIX

გაიმართა 1952 წლის 5-14 ოქტომბერს მოსკოვში. ესწრებოდა 1192 დელეგატი გადამწყვეტი და 167 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. განხილულ იქნა საკითხები: საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის, საკ. კპ (ბ) წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ცენტრალური ორგანოების არჩევნების შესახებ.

ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის 13 წელზე მეტი ხნის ბრძოლისა და მიღწევების შედეგები, აღნიშნა ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა და მისი შემდგომი განვითარების სწრაფი ტემპი, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების განმტკიცება, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ძალების დარაზმვა საბჭოთა კავშირის გარშემო.

ყრილობამ დაამტკიცა „სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივები“.

შეტანილ იქნა ცვლილებები პარტიის წესდებაში. ამავე დროს სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — სკკპ.

XX

მუშაობდა 1956 წლის 14-25 თებერვალს

5.

ჯაფარიძელთა მეღორეობის ფერმის სასუქი მოედნები ძირითადად ერთ ადგილზე, ენამთის კალთაზე და მილარის მინდვრებშია თავმოყრილი. მეურნეობის ამათუ იმ დარგის ერთად თავმოყრა, როდესაც საამისოდ ობიექტური პირობები არსებობს, საგრძნობლად ზრდის შრომის ნაყოფიერებას, აადვილებს მართვისა და მომსახურების მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებას. ჯაფარიძელებს ეს, ეტყობა, სხვაზე ნაკლებ არ მოეხსენებათ და მიტომაც ულონიათ ყველაფერი, რომ მეცხოველეობა-მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები აეშენებინათ და დასაქსული მეურნეობა ერთ მთლიან საწარმოო სიმძლავრედ ექციათ.

ორივე ადგილას, მილარშიაც და ენამთაშიაც, მეღორეობის სასუქი მოედნები რამდენიმე კაპიტალური შენობისაგან შედგება. წლის ამ დროს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარება თითქმის უკვე დამთავრებულია. დასახული გეგმის მიხედვით ჯაფარიძელებს ახლა 2348 გასასუქებელი ღორი უნდა ყავდეთ, რათა მომავალი წლის გეგმების შესრულებას საძირკველი ამთავითვე ჩაუყარონ. ფაქტობრივად 3223 ღორი ჰყავთ და გეგმის შესრულების უჯრედში 137 პროცენტი უნერიათ.

სულადობის ზრდასა და შენარჩუნებას აქ სახორცე ღორების წონის ზრდით მიაღწიეს. მწყემსები რომ ჩვენი თხოვნით საღორეებში შევიდნენ და იქ თავშეფარებული ნაპატიები ღორები გარეთ გამოყარეს, ეზოში ტევა აღარ იყო. ბევრი ნასუქი ღორის წონა ორას და მეტ კილოგრამს აღწევს...

აქ ყველა სამუშაო, საკვების შემზადება, მიწოდება თუ სადგომებში სანიშუშო სისუფთავის დაცვა, მთლიანად მექანიზებულია. ადამიანის ხელი მხოლოდ მექანიზმებს მართავს და ღორის ხორცის ფაბრიკაც წლის ყოველ დროს შეუფერხებლივ მუშაობს.

გარდა მეღორეობისა და სახორცე მეფრინველეობის დიდი კომპლექსებისა, ენამთის ჩრდილო კალთაზე მეცხვარეობის ერთ მოზრდილ ბრიგადასაც დაუდევს ბინა. ჩვენ რომ ბრიგადის მათულით შემოკავებულ ეზოს მივადექით, მწყემსებს განიერი ჭიშკარი გაეღოთ და საძოვრიდან მობრუნებულ ფარას კომბლების ტრიალით შიგნით ერეკებოდნენ. შორიახლო ჯგუფად შეყრილიყვნენ მეცხვარის ძაღლები, თვალყურს ადევნებდნენ ეზოში შეზავებულ ცხვრის ფარას და ცალი თვალი კი აქეთ, უცხო ხალხისაკენ ეჭირათ, ემანდ ღმერთი არავის გაუწყრეს, ცხვარს ახლო არ გაეკაროსო.

ჭიშკარში შესვლისთანავე ნიკო ყოჩიაშვილმა მეცხვარეობის ფერმის გამგე გურამ გოგილაშვილი მოიკითხა და მანაც უმალვე მოირბინა, მუშაკაცის ღიმილიანი სახე გვაჩვენა. ჯაფარიძელი მეცხვარეების სარქალი გურამ გოგილაშვილი, წინააღმდეგ ჩემი მოლოდინისა, საშუალო ტანის, მხარ-ბეჭში მკვიდრად ჩადგმული ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, თუმცა უფროსი ძმის, მეფრინველეობის ფერმის გამგე ვიქტორისა არ იყოს, გრუზა თმაში თითო-ოროლა ჭაღარა მასაც გამორეოდა. გურამი ვერაფრით მივამგვანე ყაზბეგის ნაწარმოებებში აღწერილ იმ ძველ სარქლებს, გამუდმებული ქარ-წვიმითა და სუხე-სიცივის მკვეთრი მონაცვლეობით გაუხეშებულ სახეზე გულის შემაღონებელი ნაღვლის დაღი რომ ესვათ და თავმოკაუჭებულ კომბალზე დაყრდნობილნი შორს დარჩენილი ოჯახის ჯავრში ათენაღამებდნენ.

მეცხვარის ცხოვრებას დღესაც, რასაკვირველია, დიდი სიძნელეები ახლავს, მწყემსს უამრავი, ხშირად წინასწარ გაუთვალისწინებელი დაბრკოლებების გადალახვა უხდება, მაგრამ დიდი ხანია, რაც ის ნაბდისა და კომბლის ანაბარა აღარ არის. როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრებზე გამართული ბინები და დამხმარე ნაგებობები, სადაც შეუძლიათ ფარაც უშიშრად დააყენონ და რიჟრაჟამდე, ვიდრე ცხვრის მოწველისა და კვლავ საძოვარზე გარეკვის დრო მოაწევდეს, თვალიც მოატყუონ, დღევანდელი მწყემსის ცხოვრებასა და მუშაობას სულ სხვა ელფერს აძლევენ. მათ საგანგებოდ ფერმისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტიც ემსახურებათ, მშობლიურ კერასთან კავშირს ერთი წუთითაც არ წყვეტენ და არც თბილი ლუკმა აკლიათ.

ამჟამად სოფელ ჯაფარიძის საზოგადოებრივ სექტორში რვა ათასზე მეტი სული ცხვარი და თხა ჰყავთ. მათ შორის მარტო ნერბი ექვსი ათასამდეა. ბუნებრივია, რომ ფერმა რამდენიმე ბრიგადისაგან შედგება. ეს ბრიგადები, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ცხვარი და თხა ჰყავთ და სად რამდენი და როგორი ბალახია, სხვადასხვა ადგილზე ბანაკდებიან. გურამ გოგილაშვილს, როგორც სარქლის ნესია, ხშირად უნევს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, ბრიგადების მონახულება, ავისა და კარგის შეტყობა. ის ხომ ყველგან უნდა იყოს, ყველას მოეხმაროს, ყოველი სიძნელის აღმოსაფხვრელად წინასწარი თადარიგი გასწიოს. ამიტომ დღედაღამ თავისი სამსახურებრივი მოსკვიჩის საჭეს უზის და ამ წუთში რომ აქ, ენამთაზეა, შუადღისას შირაქში ამოჰყოფს თავს, საღამოს კი მანქანას ტარიბანას თავქვეზე მიაქროლებს.

ნიკო ყოჩიაშვილმა რამდენიმე კუდმოკვეცილი და ბზოლად მისთვისა და ფერმის გამგისათვის გასაგები სიტყვით გამოიკითხა საქმის ვითარება. მალე შეამჩნიე, რომ მოკლე-მოკლე პასუხებით, რომელთაც გურამ გოგილაშვილი აძლევდა, კმაყოფილი იყო, თუმცა ეს სიტყვიერად არ გამოუხატავს.

— წავიდეთ, ჩვენც ვნახოთ, როგორ ასხურებენ წამალსა, — შემომთავაზა მან ბოლოს და იქით გამიძღვა, საიდაც მწყემსები და მათი მომხმარე ადგილობრივი მოსამსახურენი ცხვრის ფარას მიდევნიდნენ.

ქვითკირისკედლებიან და ბრტყელი ქართული კრამიტით გადახურულ გრძელ ფარეს წინიდან მოვუარეთ და ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში გავედით. აქ უამრავი ცხვარი მოგროვილიყო. ერთი კიკინ-ბლავილი და გნიასი იდგა. ცხვრები ერთმანეთს ეხლებოდნენ და სადღაც გაქცევას ლამობდნენ, რომ კომბლებმომარჯვებული მწყემსებისაგან თავი როგორმე დაეღწიათ. აქაქანებული მწყემსები ფარაში ჩამდგარიყვნენ და ცდილობდნენ მისთვის ორასი-სამასი ცხვარი მოეწყვიტათ.

ჩვენ წინაშე კარგა მოზრდილი რკინის გალია იყო, რომელსაც ეს გამოცალკევებული ორასი-სამასი ცხვარი უნდა დაეტია. გალია ზემოდან და ქვემოდან ნასვრეტებიანი წვრილი მილებით იყო დაქსელილი. დანადგარის ჩართვისთანავე ნასვრეტებიდან წინასწარ შეზავებული თხევადი წამალი ნამოვიდოდა.

დავინტერესდი, რა წამალია-მეთქი. ფერმის გამგემ გურამ გოგილაშვილმა მოკლედ ამიხსნა:

— ტკიცა უჩნდება ცხვარსა. თუ წამალში არ ვაბანავებთ, ვერაფერს ვმეელით.

— წინათ, მგონი, მართლა აბანავებდით, სითხით სავსე აუზში ყრიდით, კინოში მინახავს...

— ვყრიდით, მართალია, მაგრამა ბევრი ცხვარი შავდებოდა. ზოგი ფეხს იტეხდა, ზოგი რასა, ზოგი სუ გველუპებოდა. ავდექით მერე და ეს დასხურება მოვიგონეთ. აშენდა მაგის გამკეთებელი! შევყრით შიგ ცხვარსა, რამდენიც დატევა, გავუშვებთ წამალსა და ხუთ წუთში თავისუფალია!

— ხშირად გჭირდებათ ასე დასხურება?

— ხშირად რადა, წელიწადში ორჯერ ვასხურებთ, ერთხელ — შემოდგომაზე და ერთხელაც — გაზაფხულზე.

ამ დროს ნიკოს ხმამაღალი ძახილი შემოგვესმა. მეცხვარეებს, ფარაში რომ იდგნენ და კუთხეში მიწყვდეულ ორასიოდე ცხვარს ყვირილითა და კომბლების ტრიალით გალიაში ერეკებოდნენ, ხელით რაღაცას უჩვენებდა.

მე და გურამი უმალ მივუახლოვდით.

— როგორ ვერა ხვდებით, კაცო, — ახლა მას მოუბრუნდა თავმჯდომარე. — დანარჩენი ფარა იქით გარეკეთ და თვალს მოაფარეთ. დაინახამენ, დაფეთდებიან და შიგ აღარ შევლენ!

გურამ გოგილაშვილს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და მაშინვე გაემართა მის შესასრულებლად.

— როგორია? — თითქოსდა ნიშნის მოგებით მკითხა ნიკომ, როცა გალიაში შერეკილ გულგახეთქილ ცხვრებს კარი ჩაუკეტეს, განზე გადგნენ და გიორგი ბოსტაშვილმა, კოლმეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა, აგრეგატის სამართავ ღილს თითი დააჭირა.

მოთეთრო სითხემ იმავე წამს იფეთქა მილებში, ზემოდან, ქვემოდან, გვერდებიდან... ცხვრები სულ გადაირივნენ შიშისაგან, კვლავ ერთმანეთს მიანყდნენ, მაგრამ გასაქცევი გზა აღარსაი იყო და ძალაუნებურად თავიანთ ხვედრს შეურიგდნენ.

— ახლა გავუღებთ მოპირისპირე კარსა და კუდამოძუებული გამოცვივდებიან, აქ კი მეორე პარტიას შევრეკავთ...

თითქოსდა ამ სიტყვების პასუხად კარი მართლაც გააღეს და წამლით გალუმპული ცხვრები, რაკი სიხალვათე იგრძნეს და წინაც აღარავინ უდგათ, კიკინ-ბღავილით გასასვლელს მიანყდნენ. მათს გზაზე, თითქოსდა ქუჩების სარეცხ სანიტარიულ ავტომობილებს გაუვლიაო, ერთიანი სველი კვალი რჩებოდა.

— გურამ, — მიმართა ფერმის გამგეს ნიკო ყოჩიაშვილმა. — ხვალ შენი მუშაობის გეგმა როგორია?

— ტარიბანაში მივდივარ, ძია ნიკო, — უპასუხა გოგილაშვილმა და რატომღაც ბალღივით გაწითლდა, უამისოდაც ფეროვანი ღაწვები შეეფაკლა. — ბიჭებს პური და ცოტა რამ საჭმელი უნდა ჩავუტანო. ამ დილას ამომაკითხეს, გამოგველიაო.

— ადრე უნდა გეზრუნა. შენ თვითონ არ იცი, როდის რა გამოელევათ?

— ვიცი, მაგრამ... — გურამი კიდევ უფრო გაწითლდა, თავის გასამართლებელი საბუთი ველარ იპოვნა.

— კარგია, თუ ტარიბანაში მიდიხარ. ხვალ ჩვენც იქით ვაპირებთ, — ნიკო ყოჩიაშვილმა მე გადმომხედა, ხომ ასეაო. — როგორ ატყობ, ამინდი შეიცვლება?

გურამ გოგილაშვილმა ცას ახედა.

— არა მგონი. ღრუბელიც არ არის. სინოპტიკოსებიც კარგ დარს გვპირდებიან.

— მაშ, ჩვენ წავედით! ხვალ დილას ადრე წახვალ?

— ადრე მინდოდა, მაგრამ როგორც მიბრძანებ...

— მე რა უნდა გიბრძანო, შენი საქმე შენ იცი. ჩვენ უშენოდაც კარგა მივაგენით ტარიბანას, ამ დათომ თუ არსად გადაგვჩეხა!

— ჯვარი გწერიათ, ძია ნიკო, სად არის იქ გადასაჩეხი ადგილი! ბრიგადაში ვიქნები. თუ რამე დავალებაა... გზაც ხომ იქით გიდევთ. მართლა, კარლოს კაცმა თუ გნახა დღესა?

— ყოჩიაშვილისა? არა. ჩვენ დილიდან აქა ვართ, სამთანწყაროსა და მილარში. რაო, რა უნდა?

— ხვალ ერთი წვეთი სანვავი აღარ მექნება, მანქანა ცარიელი ჩამოვიდა და ტრაქტორები მიჩერდებაო.

— ყოჩაღ, რა კარგ დროს მეუბნები და იმ მამაცხონებულსაც რა კარგ დროს შემოუთვლია! როგოა ნავთობის ბაზაში საქმე? არის სანვავი?

— ამ დილას არ იყო, მაგრამ ელოდებოდნენ. შეიძლება კიდევაც მიიღეს. დავრეკო?

— დარეკვით საქმე არ გაკეთდება. უნდა მივიდეთ. ჩვენ გარდა იქ სხვაც ბევრია მთხოვნელი. დათო! — ყოჩიაშვილმა შოფერი მოიკითხა. — დათო სად არის?!

— აქა ვარ, ძია ნიკო, — მექანიზატორების გაჭირვების ტალკვესს აგრეგატის მოტორთან ჩაემუხლა, თავზე მთავარი ზოოტექნიკოსი ადგა და, ვიდრე მსყემსები წამლის სასხურებელ გალიაში ცხვრების ახალ პარტიას შერეკავდნენ, რაღაცას უჩხიკინებდა.

—რა გითხრეს გუშინ ნავთობის ბაზაში, ელიან საწვავსა?

— დღეს ელიან ცოტას, მაგრამ ყველას ვერ ჩავუსხამთო.

— მორჩი მაგ საქმეს და წავედით. იქნებ მივუსწროთ!

რევაზ ჯაფარიძე

ალაზანი დიდია

— ვერა, — დავითმა წყალი გადაწურა. — საწვავი არა აქვთ და ხალხმა რომ ზედმეტად არ შეაწუხოთ, ადრე კეტამენ.

— ჩქარა, მოაყე მანქანა!

6.

დილაადრიან, როგორც თავიდანვე განზრახული იყო, ტარიბანას მოსანახულებლად წასვლა არ მოგვიხერხდა. ჯერ ნავთობის ბაზაში შევლამ და ტრაქტორის საწვავით ავტოცისტერნის ავსებამ წაიღო დრო, შემდეგ ნიკოს სხვა გადაუდებელი საქმეებიც გამოუჩნდა და დილის თერმომეტ საათამდე კანტორაში შევრჩით. ის იყო, თავმჯდომარის მისაღები დაცარიელდა და წასვლა დავაპირეთ, რომ დერმანტინგადაკრული კარი გაიღო, ვიღაც გამხდარ-გამხდარმა, ფერმკრთალმა, ასე ოცდაოთხ-ოცდაათი წლის ახალგაზრდა კაცმა კაბინეტში თავი შემოყო და ხრინწიანი ხმით შემოსვლის ნებართვა ითხოვა.

— მობრძანდი! — მიაგება ნიკო ყოჩიაშვილმა, რომელიც უკვე ფეხზე იდგა თავის მაგიდასთან და ზურგსუკან კედელზე დაკიდებულ სურათს მხრებით ფარავდა. შევატყვე, შემოსული ერთბაშად ვერ იცნო. ეს სტუმარმაც უმალვე იგრძნო და საწერ მაგიდასთან მიდგმული გრძელი მაგიდის მოპირდაპირე კუთხეში დამნაშავესავით აიტუზა.

— თქვი, შვილო, რაზე შენუხდი, — შეეხმიანა თავმჯდომარე, როცა შეატყო, ეს კაცი არაფრის თქმას არ აპირებსო. — გვეჩქარება, აქ ხომ არ დავალაგებთ!

— ცნობა მომე, რომ თქვენთან აღარა ვმუშაობ, — ძლივს ამოღერღა მოსულმა.

— რადა, შვილო, მერე, რატომ არ მუშაობ? — დაუბრუნა კითხვა ყოჩიაშვილმა და უკვე ცხადი იყო, რომ მეხსიერებაში ყველაფერი აღიდგინა.

— ჩემი სამუშაო აღარ იყო და... — სცადა თავის გამართლება ახალგაზრდამ.

— როგორ არ იყო სამუშაო, ფერმაში სამუშაოს რა გამოლევს! შენ ენამთის საღორეში არ მუშაობდი?

— ჰო.

— ღეო ხოსიტაშვილთანა.

— დიახ...

— მერე? თავი რად გაანებე? იქ განა შენზე ნაკლები ბიჭები მუშაობენ? შვილი რამდენი გყავ?

— ოთხი.

— უყურე ერთი ამასა! ოთხი შვილის მამა ხარ, მშვენიერი გამრჯე მეუღლე მხარ გიმშვენებს და შენ კი უსაქმოდ დადიხარ, გაიძახი, იქ ჩემი სამუშაო აღარ იყოო. მე შენ მასწავლი, სად იყო სამუშაო და სად არა? რატომ სვამ, შვილო, უზომოდ, ამ დაღოცვილ ღვინოს შენ გამოლევ? არ იცი, რომ ღვინოს შენნაირ უფრო შეძლებული ვაჟკაცებისთვის მოუგრეხია კისერი და მზეც დაუბნელებია? ახლა ის გინდა, შვილები უდროოდ დაიობლო და ახალგაზრდა ცოლს ქვრივის თავზალი მოახურო? წადი, ჯერ კარგა მაიფიქრე და მერე მოდი. მე ხვალაც აქ ვიქნები. არსად მივდივარ, ლეოც მაიყვანე, ერთად მოვილაპარაკოთ.

— ცნობას არ დამიწერ? — ახალგაზრდამ მაინც თავისი მოითხოვა, თუმცა ხმასა და სახის გამომეტყველებაში წელანდელი კატეგორიულობა უკვე აღარ ემჩნეოდა.

— რა ცნობა უნდა დაგიწერო?

— რომ თქვენთან აღარ ვმუშაობ...

— შეაყარე კედელს ცერცვი! შენ ყრუ ხომ არა ხარ, კაცო? არ გაგიგია, რასაც ახლა გელაპარაკებოდი? წადი, კარგა მაიფიქრე შენი ნაბიჯი, ცოლსაც კითხე, ბრიგადირსაც კითხე, ფერმის გამგესაც, მერე ლეო მაიყვანე და აქ ერთად გადავწყვიტოთ. მე ხომ ვიცი, გაგიჭირდება და ისევ ჩემთან მოხვალ. რად გინდა, შვილო, მოსასვლელი პირი აღარ გქონდეს, ის არა ჯობია, საქმე თავიდანვე კარგად მოვიფიქროთ?

— ჯობია, — მოულოდნელად დაეთანხმა ახალგაზრდა.

— ჰოდა, წადი. გითხარ, ხვალ დილას ისევ აქ ვიქნები. ლეო არ დაგზარდება. ერთად მოხვალთ და მაშინ გადავწყვიტოთ, დაგიწერო ცნობა თუ არა.

— ნახვამდის!

— ნახვამდის! მოიცა, სახელი რა გქვია შენა?

— ოთარი, ბიჭელაშვილი.

— ჰო, ასე, ოთარ, როგორც შევთანხმდით.

— ეგ არსად წამსვლელი აღარ არის, — დარწმუნებით ვთქვი მე, როცა ბიჭელაშვილმა კარი გაიხურა და ჩვენ ისევ მარტო დავრჩით.

— დამლუპველია უზომოდ ღვინის სმა კაცისთვინა. თავმოყვარეობასაც დაგიკრგავს და ცხოვრებაზედაც ხელს აგაღებინებს. თუ მართლა კაცი ხარ და ქუდი გხურავს, ცოუნებას უნდა მოერიო. აზრით ხომ იცი, რომ იღუპები! ამას კიდევ ოთხი შვილი ყავს და კალმით ნახატი ყმაწვილი ცოლი. რა გული გაგიძლებს, რომ ხელიდან გაუშვა, საწაღმართო გზაზე არ დააყენო! რა იცი, სად გადაიჩეხება ე ჩემი ცოდვით სავსე!..

— თქვენი ბედიც ხომ ერთმა უბრალო შემთხვევამ გადაწყვიტა, ბატონო ნიკო?

— როდისა?

— აი, მზარეულის თანაშემწედ რომ მუშაობდით და გზას აცდენილმა ბიჭებმა საეჭვო სარდაფში ჩაგიყვანეს....

— ეგ შენ ვინ მოგიყვა?

— მითხრეს... მართალია?

— მართალია. ყველაფერი იმ დღეს, იმ წუთში, იმ ერთ წამში გადაწყდა. მე რომ უეცრად გონება არ გამნათებოდა და იქიდან არ გამოვპარულიყავი, აქ ვეღარ მიხილავდი, იქნება დღეს ძვალიც აღარსად ეგდოს ჩემი!

— როდის მომიყვებით, მერე რა მოხდა?

— სოფელში დავბრუნდი და მას აქეთ აქა ვარ!

— თავმჯდომარედ როგორ აგირჩიეს?

— თავმჯდომარედა? მაინცდამაინც გინდა მამაყოლო?

— ორი სიტყვით!..

— მე ჯერ საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. ოთხი წელიწადი. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მერე ამირჩიეს. ქალაქიდან რომ მოვბრუნდი, ომის წინ, აქ სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ ალექსანდრე თარაშვილი იყო. ხალხში მკაცრი, სამართლიანი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. შემამჩნია, ყველა დაკისრებულ საქმეს გულიანად ვეკიდებოდი და ერთი-ორჯერ სანყალ ბებიაჩემს უთხრა თურმე: ნუ გეშინია, ბებრუხუნავ, კარგი შვილიშვილი გეზრდებაო. ერთ დღეს საბჭოში დამიბარა. 1942 წლის 29 იანვარი იყო. გერმანელები კავკასიის ქედს იქით იდგნენ. ღამღამობით ზარბაზნების გრიალი ისმოდა. მეგონა, ომში მიწვევდნენ. მომამზადა საწყალმა ბებიაჩემმა, ცოლი მაშინ არა მყვანდა, თან ცხარე ცრემლად იღვრებოდა. ორი წყვილი წინდა-პაჭიჭი, ორი ხელი საცვალი, ერთი წყვილ ყველი და ორი პური... არა, კაცოო, მითხრა თარაშვილმა, ომში წასასვლელად მოწყობილი რომ მივადექი, მაგისთვის კი არ დაგიბარეთ, საბჭოს თავმჯდომარედ უნდა დაგაყენოთ და გაემზადეო. მეხი რომ დამცემოდა, ის მერჩივნა. შენთვის რა დამიშავებია, ან ახვითვის, განა ჩემი გაჭირვება კი არა მყოფნის, რად დამცინი, ია ალექსანდრე-მეთქი, მეც იმ ბადრი იაკობიშვილივით ვუპასუხე. რადაო, ქვას თავი შეუშვირა, განა ვისმე დაცინვის დრო გვაქვს ახლა, მე წითელწყაროში გადავყავარ-კე სამუშაოდ და რომცა შემეკითხნენ, ჯაფარიძის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ ვინ გამოდგებაო, მე შენი კანდიდატურა წამოვაყენეო. მერე მე რა ვიცი თავმჯდომარეობა, რად მლუპავ, ძია ალექსანდრე-მეთქი. არც მე ვიცოდი, მაგრამ ვისწავლეო, დედის მუცლიდან თავმჯდომარედ ჯერ არავინ დაბადებულაო. ახლა ეგ შენი ზურგჩანთა ეგერ დარაჯთან მიაგდე, ნუ გეშინია, არავინ მოგპარავს და საჩქაროდ რაიკომის მდივანთან გაიქეცი, ის უკვე იქ არის და შენ გიცდისო. შეატყე, ეს კაცი არ ხუმრობდა, აღარც ზედმეტი გაჯიუტება ივარგებდა. იმ დღეებში სოფელში მართლა დაირხა ხმა, თარაშვილი მგონი წითელწყაროში გადაჰყავთ და ვაი, რაღა გვეშველებაო. დამარიგა: თუ მდივანმა გკითხოს, რაც იტყვი, ხომ შეძლებ მუშაობასო, არ დამღუპო, უარი არ წამოგცდეს, უპასუხე, ვეცდები-თქო. ავდექი და მეც აგრე ვუპასუხე. სხვა რაღა გზა მქონდა. მოვბრუნდი. მომცა თარაშვილმა ბეჭედი და თავისი ბეხრეკი ცხენი, შემიყვანა და დაგაღეს და წამლით გალუმპული ცხვრები, რაკი სიხალვათე იგრძნეს და წინაც აღარავინ უდგათ, კიკინ-ბღავილით გასასვლელს მიანყდნენ. მათს გზაზე, თითქოსდა ქუჩების სარეცხ სანიტარიულ ავტომობილებსა გაუვლიაო, ერთიანი სველი კვალი რჩებოდა.

— გურამ, — მიმართა ფერმის გამგეს ნიკო ყოჩიაშვილმა. — ხვალ შენი მუშაობის გეგმა როგორია?

— ტარიბანაში მივდივარ, ძია ნიკო, — უპასუხა გოგილაშვილმა და რატომღაც ბალღივით გაწითლდა, უამისოდაც ფეროვანი ღაწვები შეეფაკლა. — ბიჭებს პური და ცოტა რამ საჭმელი უნდა ჩავუტანო. ამ დილას ამომაკითხეს, გამოგველიაო.

— ადრე უნდა გეზრუნა. შენ თვითონ არ იცი, როდის რა გამოელევათ?

— ვიცი, მაგრამ... — გურამი კიდევ უფრო გაწითლდა, თავის გასამართლებელი საბუთი ველარ იპოვნა.

— კარგია, თუ ტარიბანაში მიდიხარ. ხვალ ჩვენც იქით ვაპირებთ, — ნიკო ყოჩიაშვილმა მე გადმომხედა, ხომ ასეაო. — როგორ ატყობ, ამინდი შეიცვლება?

გურამ გოგილაშვილმა ცას ახედა.

— არა მგონი. ღრუბელიც არ არის. სინოპტიკოსებიც კარგ დარს გვპირდებიან.

— მაშ, ჩვენ წავედით! ხვალ დილას ადრე წახვალ?

— ადრე მინდოდა, მაგრამ როგორც მიბრძანებ...

— მე რა უნდა გიბრძანო, შენი საქმე შენ იცი. ჩვენ უშენოდაც კარგა მივაგენით ტარიბანას, ამ დათომ თუ არსად გადაგვჩეხა!

— ჯვარი გწერიათ, ძია ნიკო, სად არის იქ გადასაჩეხი ადგილი! ბრიგადაში ვიქნები. თუ რამე დავალებაა... გზაც ხომ იქით გიდევთ. მართლა, კარლოს კაცმა თუ გნახა დღესა?

— ყოჩიაშვილისა? არა. ჩვენ დილიდან აქა ვართ, სამთანწყაროსა და მილარში. რაო, რა უნდა?

— ხვალ ერთი წვეთი სანვავი აღარ მექნება, მანქანა ცარიელი ჩამოვიდა და ტრაქტორები მიჩერდებაო.

— ყოჩაღ, რა კარგ დროს მეუბნები და იმ მამაცხონებულსაც რა კარგ დროს შემოუთვლია! როგოა ნავთობის ბაზაში საქმე? არის სანვავი?

— ამ დილას არ იყო, მაგრამ ელოდებოდნენ. შეიძლება კიდევაც მიიღეს. დავრეკო?

— დარეკვით საქმე არ გაკეთდება. უნდა მივიდეთ. ჩვენ გარდა იქ სხვაც ბევრია მთხოვნელი. დათო! — ყოჩიაშვილმა შოფერი მოიკითხა. — დათო სად არის?!

— აქა ვარ, ძია ნიკო, — მექანიზატორების გაჭირვების ტალკვესს აგრეგატის მოტორთან ჩაემუხლა, თავზე მთავარი ზოოტექნიკოსი ადგა და, ვიდრე მსყემსები წამლის სასხურებელ გალიაში ცხვრების ახალ პარტიას შერეკავდნენ, რაღაცას უჩხიკინებდა.

—რა გითხრეს გუშინ ნავთობის ბაზაში, ელიან საწვავსა?

— დღეს ელიან ცოტას, მაგრამ ყველას ვერ ჩავუსხამთო.

— მორჩი მაგ საქმეს და წავედით. იქნებ მივუსწროთ!

აგურის ქარხნის საწყობის გამგე ბადრი იაკობიშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

● ●

შეეჩვივნენ შეჩვენებულები, იმუნიტეტი გამოიმუშავეს, ახალი აღარავინ მოგვაწოდა და აღარც ამინდი შვრება ხეირს. მოეთოვა მაინც. ცხვარში რომ არ შეუშვეს, წუხელ საქათმეს შესვეიან და დილას ერთი ქათამი აღარ დახვედრიათ მწყემსებს ცოცხალი. კვერცხებსაც მშვენივრად მიირთმევენ. ეგ კი არა, თუ შემოგიტია, კაცისთვისაც საშიშია. ბურვაკებივით არიანო!..

— საგონებელში არ ჩავვარდით, კაცო? — ფერმის გამგის გულღია ღიმილი თავმჯდომარემ უპასუხოდ დატოვა, თვალი სივრცეს გაუშტერა, მოიჭმუხნა.

— იმ დღეს ყარაულაშვილმა რომ დარეკა ინსპექციაში, — გურამ გოგილაშვილმა რაიკომის პირველი მდივანი გაახსენა. — რა უპასუხეს?

— დაპირდნენ, რაღაცას ვიზამთო, მაგრამ ჯერ რომ არაფერი ჩანს? უნდა მივაწვდინოთ ხმა ხელახლა. ამ საქმის ასე დატოვება არ იქნება. ნუ დაიბარებ, ადი წითელწყაროში და ჟიულიენს უთხარ, საქმე ასეა-თქო. მინისტრს დაურეკოს.

— მინისტრს რა, მინისტრი ვირთაგვებს ხომ ვერ დაიჭერს!

— ვირთაგვებს ვერ დაიჭერს, შვილო, — ყოჩიაშვილს ფერმის გამგის მახვილსიტყვაობა ამჯერად არ მოეწონა, ხმაში სიმკაცრე გაურია, — მაგრამ სპეციალისტებს გამაიძახებს და დაავალებს, რაც საჭიროა. მე და შენს სიტყვას და მინისტრის სიტყვას ერთი გასავალი აქვს?

— ახლავე წავიდე, ამ წუთშია?

— ამ წუთში, მაშ, კიდევ გადადება შეიძლება? საქმე რომ გაფუჭდება, სოფელიც და მთავრობაც პასუხს მე და შენ გვაგებინებენ, განა სხვა ვინმე შეგვეზიარება. წადი, გაიქე! ხელცარიელი არ მობრუნდე, იცოდე. ჟიულიენს ჩემი სახელით ელაპარაკე, უფრო გაჭრის. ჰო, გურამ, შვილო, ჩემი ბიჭი ადგილზეა, თუ იცი?

— ჯემალი? როგორ არა, ძია ნიკო, დილას ერთად წამოვედით წითელწყაროდანა. ნაკრძალშია, სადილად სტუმრებს ველი და ჩვენებური ხინკალი უნდა მოვხარშოო.

— დაიკარგოს იქით, მაგან რა იცის ხინკლის მოხარშვა!

— იცის, ძია ნიკო, როგორ არ იცის, აგრე ნუ გგონია!

— ნახე, როგო წამოპილპილდა, — მაცდურად გამიღიმა ნიკომ. — ძმაკაცი გაულანძღეს! — და ისევ გურამს მიუბრუნდა. — შენ რომ ველარ წაგიყვანთ თანა? ხინკალი უშენოდ ვჭამოთ?

გამომშვიდობების წინ მან კიდევ რაღაც უთხრა პირში შემოჩერებულ ახალგაზრდა მწყემსებს, მამაშვილურად დაარიგა და მანქანასთან დაბრუნდა.

— კი მაგრამ, რა ენაზე ლაპარაკობდით? — ვკითხე მე, როცა ადგილიდან დავიძარით. — ვინ არის ეს ხალხი?

— ფერმის მწყემსები არიან, მეცხვარეები.

— მერე ქართული არ იციან?

— აბა, საიდან ეცოდინებათ, მაგათ საკუთარი დედაენა აქვთ, აზერბაიჯანელები არიან!

— აქ როგორ მოხვდნენ?

— აზერბაიჯანი განა შორია. იორს გადახვალ და ფეხი უკვე აზერბაიჯანში გიდგა. მოდიან, სამუშაოს ითხოვენ, ჩვენც მუშახელი გვჭირდება, იმისა ოთახში. საერთო კრება თუ სესია ერთი თვის შემდეგ მოიწვიეს და სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. შიმშილობა იყო. აქაურობა ლტოლვილებით აივსო. ხალხი ლუკმაპურს დაეძებდა. მინდორში ვინ წამოგდვებოდა სამუშაოდ! შირაქსა და ტარიბანაში, სამი დღე რომ იქით უნდა გვემგზავრა და სამი დღე აქეთ, მშიერ კაცს შენ წაიყვანდი? ამას ისიც ზედ დამატა, რომ ბერიკაცები ბუზღუნებდნენ, ერთი ორჯერ მეც არ მომერიდნენ და გამაგონეს: აბა, ბალღმა რა სიკეთე უნდა გვიყოსო, ჯერ პირზე რძე არ შაშრობია და ამან რა თავმჯდომარეობა უნდა გასწიოსო, არა, შვილოსა, ეს არაფერ ხეირს ჩვენ არ დაგვაყრისო.

— თუ არის ახლა ვინმე ცოცხალი? — მორიდებულად შეავწყვეტინე მე.

— მაშინდელი ბერიკაცები? აღარავინ! მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ოცდაცხრამეტ წელიწადს ეხუმრები? ამ ბუზღუნმა, შენ წარმოიდგინე, მე გამაგულისა. წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ ურწმუნოები გამემტყუნებინა. მერე, იცოცხლე, ბევრს მლოცავდნენ და მხარშიაც ამომიდგნენ. წავედი ზემო მაჩხანში, ხელწერილი დავუდე და ხორბალი ვისესხე. ნაწილი სათესლედ და ნაწილი ხალხისათვის დასარგებლად. ვაი-ვაგლახით მოვხანინ გაყამირებული მინა და პირველი მოსავალი მოვიყვანეთ. იმ წელიწადს ზემომაჩხაანელების ვალიც გავისტუმრე და ორი იმდენი სათესლედ და შრომადღეებზე განსაწილებლადაც დამრჩა. სოფელს იმედი გაუჩნდა, ნელ-ნელა ისევ აქეთ იბრუნა პირი. აღარც მე მიყურებდნენ ალმაცერადა. ხალხმა გულით მონდობა იცის, თუ შეგატყო, რომ შენ მართლა მისთვინ ხარ, ოლონდ ნდობის ფასი უნდა იცოდე და თავს არ უნდა გაგივიდეს, არ უნდა იფიქრო, შეუცვლელი ვინმე ვარ, მინა ჭიპით ჩემზე ჰკიდიაო.

კარი ისევ გაიღო. დავით ლეკიაშვილი შემოვიდა და იქვე გაჩერდა.

— რა ჰქენ, ჩაამხე ბენზინი? — ჰკითხა ნიკომ.

ფიქრით წარსულში გადასულს უნებურად ღიმილი მომერია: ეს „ჩაამხე“ „ჩასხმას“ ნიშნავდა.

— ჩავამხე.

— დიდი ხანია, მოსული ხარ?

— ახლა მოვედი.

— მაშ, წავიდეთ, ამბების მოყოლა გზაშიაც შეიძლება!

7.

მაგრამ ნიკო ყოჩიაშვილს გზაში ამბების მოსაყოლად აღარ მოუცლია. თუმცა ყოველდღე თუ არა, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს აქეთ იყო და ტარიბანას მტვერს ყლაპავდა, გარემოს ისე ხარბად აკვირდებოდა, გეგონებოდა აქაურობას პირველად ხედავსო. გზა სამხრე

აკადემიკოსი ვ. ლ. მენაბდე

საბჭოთა ბიოლოგიის მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ლევანის ძე მენაბდე.

ვ. მენაბდე დაიბადა 1896 წლის 15 ნოემბერს სოფელ შემოქმედში (მახარაძის რაიონი). 1918-1924 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტზე. 1923 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო თბილისის ბოტანიკური ბაღის ხელექციის განყოფილებაში, ხოლო 1930 წლიდან აღნიშნული განყოფილების ბაზაზე შექმნილ საქართველოს ცენტრალურ ხელექციის სადგურში თანთანად კულტურებზე ხელექციურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოში სამარცვლე კულტურების ახალი უნიკალური სახეობები და ფორმები გამოვლინდა, შეიქმნა კულტურულ მცენარეთა კოლექციები, დადგინდა საქართველოს ენდემური ბორბლების არეალი. ვ. მენაბდის პირველმავე მეცნიერულმა შრომებმა პურეულ მცენარეთა სისტემატიკა-გეოგრაფიის, ბიოეკოლოგიის, ევოლუციის და ხელექციის საკითხებზე დიდი მოწონება დაიმსახურა, მისი მონაცემები ფართოდ გამოიყენეს და დაიმოწმეს გამოჩენილმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ი. ვავილოვმა და სხვებმა. ვ. მენაბდე თეორიულ საკითხებთან ერთად დიდ უურადღებას აქცევდა პრაქტიკის მოთხოვნებს. მის მიერ გამოყვანილი ბორბლისა და ქერის 22 ჯიშიდან რამდენიმე წარმოებაში დაინერგა.

1937 წელს ვ. მენაბდემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1946 წელს—სადოქტორო დისერტაცია. 1938-1960 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში და 1980 წლამდე ამავე ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების უცვლელ გამგედ. მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა საქართველოს კულტურულ მცენარეთა უმდიდრესი გენოფონდის გამოვლენის, შესწავლისა და შენახვის თვალსაზრისით. გამოვლინდა ქართული ენდემური ხორბლის ახალი სახეობები, რომლებიც დღესაც მთელი მსოფლიოს ტრიტიკოლოგთა შეუნელებელი დაინტერესების ობიექტს წარმოადგენს. ვ. მენაბდის მონოგრაფია „საქართველოს ხორბლები“ ტრიტიკოლოგთა სამაგიდო წიგნია. დაბეჭდილი ექსპერიმენტი, მიღებული შედეგების ღრმა ანალიზი, დაკვირვებული მკვლევარის უტყუარი ალღო მის 200-ზე მეტ ნაშრომს უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს.

1950 წელს ვ. მენაბდე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1962 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ვ. მენაბდე დიდ დროსა და ენერგიას აბმარდა ახალგაზრდა სპეციალისტების და მეცნიერთა აღზრდის საქმეს. მის ნაშრომებზე აღზარდა კულტურული ფლორის მკვლევართა მთელი პლეადა.

ვ. მენაბდე ნაყოფიერ სამეცნიერო-ორგანიზატორულ მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების მანძილზე იგი იყო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური წევრი, ნ. ვავილოვის სახელობის საკავშირო გენეტიკური საზოგადოების საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკისა და ხელექციის საპრობლემო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს გენეტიკისა და ხელექციის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. რამდენიმეჯერ იყო არჩეული თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ვ. მენაბდის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, გულისხმიერი აღმზრდელი, თვალსაჩინო მეცნიერი-ინტროდუქციონალისტი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი უანგაროდ ემსახურებოდა საქართველოს მდიდარი კულტურული ფლორის მრავალმხრივ შესწავლას, ბიოლოგიის მეცნიერების ერთ-ერთი წმყვანი დარგის — გენეტიკის შემდგომ განვითარებასა და წინსვლას, კადრების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

აკადემიკოს ვ. მენაბდის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მრავალი მოწაფის, კოლეგისა და მეგობრის, ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობის გულში.

ე. ა. ზევაგრდნაძე, ბ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. ბილანიშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერკეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ბითანავა, ს. ე. ხაბლიშვილი, ბ. ვ. ალლეიბა, თ. ი. ბოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ე. კ. ხარაძე, ე. ა. სეხნიაშვილი, ი. ბ. გვერდწითელი, ს. ვ. დურგიშიძე, ა. ს. ფრანგიშვილი, ბ. ნ. ჯიგლაძე, ნ. ა. ლანდია, ვ. ვ. ოკუჯავა, ლ. კ. ბაბუნია, ნ. ნ. კეცხოველი, ვ. კ. დარასელია, თ. ნ. ონიანი, ვ. ი. მეტრეველი, ლ. ლ. დეკანაძელეშვილი, ვ. ვ. კეშელავა, ვ. ნ. ქარიბაია, ნ. ა. ფვანია, ბ. დ. ჯაფარიძე, ბ. შ. ნახუცრიშვილი, ზ. ვ. უკლება.

ალაზანი დიდია

(დასასრული)

ეს უტყუარი ჭეშმარიტება პირველად ტარიბანას ველზე დამტკიცდა. წარსული ჩაბარდა საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული რწმენა, თითქოსდა აქაური მინა მხოლოდ მეძროხეობა-მეცხვარეობისათვის ვარგოდა. ეს ნაყოფიერი მიწა, თურმე ნუ იტყვი, კიდევ უკეთესი სავენახე მიწაა და ამიტომაც შესევია დიდი და პატარა ნაბარლების ვაკეს. თვალუწვდენელი ზვრები, თავი და ბოლო რომ აღარ უჩანთ, უკვე გაუსხლავთ. აქა-იქ ნაკვეთებიდან გამოსატანი წალმის მთები დგას. ვენახებში იმდენი ხალხი, ტრაქტორი, სანევარი და ავტომობილი ირევა, ქუშისხვეის საგუბრის კედლიდან რომ გადმოიხედავ, გეგონება, სახნისის წვერს მოფუსფუსე ჭიანჭველების ბუდე ამოუტრიალებიაო.

— სიგნალი მიე, შვილო, გააჩეროს! — უთხრა ნიკო ყოჩიაშვილმა შოფერს და თქმასაც აღარ დასჯერდა, სარკმლის მინა ჩაწია, შიშველი ჭაღარა თავი გარეთ გაჰყო.

ჩვენს პირისპირ მომცრო სატვირთო მანქანა გაჩერდა. პირმჭელი, მზით გარუჯული, ასე ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცი, რომელიც შოფერს გვერდში უჯდა, მანქანიდან ჩამოვიდა და თავმჯდომარის „ვოლგას“ მოუახლოვდა.

— გაიცანი, ეს კარლო ყოჩიაშვილია, — მითხრა ნიკომ, თან ხელით მზისაგან სახეს იფარავდა. — ჩვენი მთავარი აგრონომი. ამის სული გვიდგია. აქ ახალი ზვრების გაშენებას ხელმძღვანელობს. განა ხელითა რგამენ მამაპაპურად, ყველა სამუშაო მექანიზებულია! ეს კიდენა ჩვენი მწერალია, — და თავმჯდომარემ გრძლად წარმადგინა. — გაგიგონია? იცნობ?

— როგორ არა, — კარლო ყოჩიაშვილმა მორცხვად გამიღიმა და გამრჯე გლეხკაცის ხორკლიანი ხელი ჩამომართვა. — ოღონდ პირადად...

— მაშ, დღეიდან პირადადაც გეცნობება. როგორ საქმე?

— აბა, რა ვიცი... — კარლომ ისევ გაიღიმა და მე გადმომხედა.

ნიკო ყოჩიაშვილი ვითომ გაუწყრა:

— მაშ, აქ ტყუილად გამოგგზავნეთ?

— ტყუილად რადა, ვმუშაობთ, აბა ტყუილად გასაჩერებლად ვისა სცალია!

— ჰოდა, აგრე თქვი, თორე ამ უცხო კაცს ენგრეგონება, რომ ჩემი გვარის ხალხს სულ ტყუილად ვაწინაურებ და კოლმეურნეობაში სულ ნათესაობისა და ნათელმირონობის ნიშნით ვხელმძღვანელობთ!

— როგორ გეკადრება, ძია ნიკო, აბა მაგას როგო იფიქრებს, გადამთიელი ხომ არ არის! ყველას ჩვენ-ჩვენი საქმე გვაკისრია და...

— საწვავი მიატანეს?

— მიატანეს, სწორედ სულზე მოგვისწრეს. რომ არ მოესწრო, ტრაქტორი გამიჩერდებოდა და ქაღალდსაც ტყუილა ვეღარ მოვაცდენდი, უკან უნდა გამომეშვა!..

— მაგ ქალების ცოდვა მე და შენ, კარლო, საფლავშიაც არ მოგვასვენებს. ვერა ვართ პირნათელი. სირცხვილით არც უნდა ვჩნდებოდეთ!

— აბა, რა ვქნათ, ძია ნიკო, — თავი მოისაწყლა მთავარმა აგრონომმა.— ჩვენ განა ჩვენსას არა ვცდილობთ? თქმა ამდენი უნდა და ძაღლის ყბის გამობმა!

— თუ შეიძლება, მეც გამიმჟღავნეთ, რაზეა საუბარი? — ცნობისწადილმა წამძლია და ბოდიშის მოხდით ჩავრიე მე.

— უთხარ! — დართო ნება ნიკომ. — იქნება ამან გზეთში ან წიგნში დაგვიწეროს და საშველი დაადგეს ჩვენს საქმეს!

— ტრანსპორტი არა გვყავ მუშახელის გადასაყვანად, — მოკლედ ამიხსნა თავისი და სოფლის გაჭირვება კარლო ყოჩიაშვილმა. — სოფლიდან აქამდე დიდი მანძილია. გზა, თავადაც დაინახავდით, არ გვივარგა. ღია სატვირთო მანქანით მოგვყავ და მიგვყავ ხალხი. უმეტესად ქალები არიან. ეიხეში, ნვიმაში, ქარში სად გინდა თავი შეაფარო! აი, ხომ ხედავთ, ირგვლივ ერთი ხეც არსად დგას. ვერ უძლებს აქაურ სიცხეს. მარტო ვენახია. ავტობუსები რომ გვყოლოდა, როგორც ყორძნის კრეფის დროს დაგვახმარენ ხოლმე ქალაქიდან, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, იმ ავტობუსებს სახლებივით გამოვიყენებდით და მუშაკაცის ჯანმრთელობაზე ვიზრუნებდით...

ამ ცნობამ გული მწარედ მატკინა და უნებლიედ შევაწყვეტინე:

— მერე აქამდე სად იყავით? რატომ მეტი სიმწვავით არ აყენებთ ავტობუსების გამოყოფის საკითხს სადაც ჯერ არს?

— მეტი რაღა სიმწვავე უნდა, შვილო და ძმაო, — მთავარ აგრონომს სიტყვა ნიკო ყოჩიაშვილმა ჩამოართვა. — სად არა ვთქვი და კარზე ტალახი ვის აღარ ავუყენე. მე შენ გეტყვი, ხელი არ მიმიწვდება! განა მარტო ჩვენა ვართ ამ შავ დღეშია. ქედელებიც ამ დღეში არიან, იმ დღეს არსენა კობაიძე ამბობდა, მირზაანელებიც, ზემო მაჩხაანელებიც, ოზაანელებიც, არბოშიკელებიც, ვისაც ვენახები შორსა გვაქვს და მუშახელის მანქანებით გადაყვანა გვიხდება!

— პირადად მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, — დავიქადნე. — საკითხს მთელი სიმწვავით დავაყენებ და კიდევაც ვიბრძოლებ, რომ წითელწყაროს რაიონს ვენახებში ხალხის გადასაყვან-გადმოსაყვანად სამგზავრო ავტობუსები გამოუყონ!

— შენ გენაცვალე, ჩვენი ღმერთი იქნები!

— ახლა საით? ერთი სული მაქვს, კოწახურის გორაზე როდის ავალთ და იქით როდის გადავიხედავთ!

— თუნდ ახლავე წავიდეთ, — გაიღიმა ნიკომ და მთავარ აგრონომს ზემოდან დახედა. — კარლო ყოჩიაშვილი, ნუ გეშინია, კალთებს არ შემოგვახევს. უპურმარილო კაცია!

— აბა ახლა ეგეთი ხუმრობა შეიძლება? — კარლოს, მგონი, მართლა ეწყინა და მოიღუშა. სახეზე ჩრდილმა გადაუარა. — დანა და ყელი ერთადა მაქვს. ხუთი დღეა შინ არ ვყოფილვარ. ბაღლები ველარ მიცნობენ...

— კარგი, კარგი, — მხარზე ხელი მოუთათუნა ნიკომ. — თავი ნუ შეგეაცოდე. კიდევ ხომ არაფერი გინდა?

— საწვავი სამ დღეს მეყოფა. სამი დღის მერე ისევე საძებარია.

— ჭამთ თუ რასა შვრებით, თქვე ოჯახქორებო, ვის გაუგია ამდენი საწვავის ხარჯვა!

— სამი ტრაქტორია, ძია ნიკო, საწვავის მაგიერ შიგ წყალს ხომ არ ჩავასხამ! ძალიან შევწუხდით. არაფერ იმედს იძლევიან?

— ახალი წლის პირველ კვარტალში გამოსწორდება საქმეო. საქართველო საკუთარ ნავთობს მაიხმარსო. ვნახოთ, ღმერთმა სიკეთე ქნას! აბა, ნახვამდის, შენ იცოდე და შენმა ბიჭობამ!

8.

ვიდრე კოწახურის გორაზე ფეხს შედგამდე და მიხვეულ-მოსვეული მტვრიანი გზით სულ მაღლა-მაღლა ნახვიდოდე, ჯერ ვენახ-ვენახ უნდა იარო. მავთულზე ლარივით გაჭიმული ვაზის მწკრივები გზის პირას იწყება და სადღაც შორს იკარგება. გზადაგზა მეველეების ორსართულიანი ფანჩატურები გეხვდება, ეს ფანჩატურები, სადაც მნიფობის-თვეში მეველეები ღამეს ათევენ და ერთმანეთს დროდადრო ხმამაღალი გადაძახებით ან სანადირო თოფის გრიალით ეხმაურებიან, სასაზღვრო კოშკების მიაგავს, დღისით და ღამით ქვეყნის ზღუდეებს რომ დარაჯობენ.

დავინტერესდი, ამდენი მეველე რა საჭიროა, აქ ყურძნის ქურდი საიდან უნდა მოვიდეს, როცა ოცდაათ კილომეტრ მანძილზე არავითარი მოსახლეობა არ არის. ვინ რა ზარალი უნდა მოგაყენოთ-მეთქი. აი, ჩვენ ხომ მოვედით მანქანითო, მომიგო ნიკო ყოჩიაშვილმა, მანქანას ისიც იშოვის და თავს ღამითაც არ შეინუხებს, ვაზებს დღისით გაჰკრეს ერთ-ერთ ფანჩატურ „ფაკელ“ — 3:0.

მერვე (ერევანი). ერევნის „არარატი“-ჯოსტრომის „სპარტაკი“ — 0:1, მოსკოვის „ტორპედო“-ვოლგოგრადის „როტორი“— 2:1, ხარკოვის „მეტალისტი“-ოდესის ასკ —1:0.

ხელგაზრდა. მოსკოვსა და მინსკში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: **მოსკოვი.** ზაპოროჟეის ინდუსტრიული ინსტიტუტი-ზაპოროჟეის ალუმინსტროო — 27:16, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 24:22, ცსკა-მოსკოვის „კუნცევო“ — 22:22; **მინსკი.** კიევის ასკ-ლვოვის ასკ —25:20, რიგის „ცელტნიეკსი“-კაუნასის „გრანიტასი“ —26:29, თბილისის „ბურევესტნიკი“-მინსკის ასკ — 20:20 (12:9).

ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის შემდეგ გთმაშებს ლიდერობს კაუნასის „გრანიტასი“ — 19 ქულა. ცსკას და მინსკელ არმიელებს 17-17 ქულა აქვთ. თბილისის „ბურევესტნიკი“ 16 ქულით მეოთხე ადგილზეა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ქარელის რაიონის ცენტრი — დაბა ქარელი გარდაიქმნას რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ქარელის სადაბო საბჭო — ქარელის საქალაქო საბჭოდ.

ქარელის სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება ქარელის საქალაქო საბჭოში.

მატჩები და შედეგები

ფეხბურთი. გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების შერჩევითი ტურნირების კალენდრით გათვალისწინებული მატჩები (მესამე ზონაში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა, დანარჩენ ზონებში კი პირველი ტურისა). გთავაზობთ შედეგებს:

პირველი ზონა (უფროროდი). კიევის „დინამო“-ბროდსკოს „ხიმიკი“— 1:0, ალმა-ათის „ყაზრატი“-ივანო-ფრანკოვსკის „პრიკარპატიე“ 1:0, ლვოვის „კარპატი“-კიშინიოვის „ნისტრუ“—1:1.

მეორე (ხოკი). კემერეროვოს „კუზბასი“-ზაპოროჟეის „მეტალურგი“—0:0, კრასნოდარის „ყუბანი-სამტრედიის „ლოკომოტივი“— 3:0.

მესამე (ლენინგრადი). სმოლენსკის „ისკრა“-ლენინგრადის „ზენიტი“ — 3:1, ბაკოს „ნეფთჩი“-ვოროშილოვგრადის „ზარია“ — 1:1, ქუთაისის „ტორპედო“-ხაბაროვსკის ასკ — 1:1. ორი ტურის შემდეგ 3-3 ქულა აქვთ სმოლენსკელებსა და ბაკოელებს, ორ-ორი —ქუთაისელებსა და ლენინგრადელებს, თითო ქულა—ვოროშილოვგრადელებსა და ხაბაროვსკელებს.

მეოთხე (კისლოვოდსკი). მინსკის „დინამო“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 0:0, სტავროპოლის „დინამო“-ლენჩხუთის „გორია“ 2:2.

შეხვედრა (მოსკოვი). ცსკა-ტოლიატის „ტორპედო“— 5:1, ვილნიუსის „ყალგირისი“-კიევის ასკ — 4:1, მოსკოვის „დინამო“-იაროსლავლის „შინაკი“ — 2:0.

მეექვსე (დუშანბე). როსტოვის ასკ-პავლოდარის „ტრაქტორი“ — 2:1, ტაშკენტის „ფახთაკორი“-სამარყანდის „დინამო“ —1:1, დუშანბეს „პამირი“-ჯიზაკის „ბუსტონი“— 2:0.

მეშვიდე (სიმფეროპოლი). სიმფეროპოლის „ტავრია“-ბარნაულის „დინამო“—2:0, ოდესის „ჩერნომორეცი“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ —2:1, ნიკოპოლის „კოლოსი“-ვორონეჟის „სპარტაკი“ — 0:1, მოსკოვის „ტორპედო“-ვოლგოგრადის „როტორი“— 2:1, ხარკოვის „მეტალისტი“-ოდესის ასკ —1:0.

ხელგაზრდა. მოსკოვსა და მინსკში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: **მოსკოვი.** ზაპოროჟეის ინდუსტრიული ინსტიტუტი-ზაპოროჟეის ალუმინსტროო — 27:16, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 24:22, ცსკა-მოსკოვის „კუნცევო“ — 22:22; **მინსკი.** კიევის ასკ-ლვოვის ასკ —25:20, რიგის „ცელტნიეკსი“-კაუნასის „გრანიტასი“ —26:29, თბილისის „ბურევესტნიკი“-მინსკის ასკ — 20:20 (12:9).

ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის შემდეგ გთმაშებს ლიდერობს კაუნასის „გრანიტასი“ — 19 ქულა. ცსკას და მინსკელ არმიელებს 17-17 ქულა აქვთ. თბილისის „ბურევესტნიკი“ 16 ქულით მეოთხე ადგილზეა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამარტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამარტის ყოფილი განყოფილების გამგე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი

ზალვა რომანის ძე ხუნდაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

22 თებერვალს

ამხანაგური შეხვედრა



თბილისის „დინამო“— მოსკოვის „სპარტაკი“

დასაწყისი 16 საათზე.

ძალაშია 1980 წლის ყველა საშვი.

ბილეთები გაიყიდება 22 თებერვალს დილის 11 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

უამინდობის შემთხვევაში თამაში გადატანილი იქნება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი

ცოდნა

21 თებერვალი

პენტაგონის მოთხოვნები

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ახდენს ზემოქმედებას მოკავშირეებზე დასავლეთ ევროპის შემდგომი მილიტარიზაციის, ნატოს სამხედრო მანქანის გაფართოება-განმტკიცების მიზნით.

წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიაში გამოსვლისას ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა ბ. როჯერსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოელმა პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ დასავლეთ ევროპაში სამხედრო სიძლიერის სრული არსენალის — საომარი მოქმედების ასპარეზის სტრატეგიული და არასტრატეგიული ბირთვული ძალების, აგრეთვე ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის სრული არსენალის შექმნა.

ეგკიცე პროფესორი

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

მანაგუა. ნიკარაგუამ ჰონდურასის დიქტატორულ რეჟიმს გაუცხადა მტკიცე პროტესტი იმის გამო, რომ არ წყდება შეიარაღებული პროვოკაციები ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ჰონდურასის ხელისუფალთათვის გაგზავნილ ნოტაში ნათქვამია, რომ ჰონდურასის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა შემოაღწიეს ნიკარაგუის ტერიტორიაზე, მაგრამ მიიღეს სასაზღვრო ჯარებისა და სანდინისტური სახალხო არმიის რაზმების საკადრისი პასუხი.

ნოტაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ დამხობილი სომოსას დიქტატურის ჰონდურასში მოკალათებულ მომხრეებს არაერთხელ მოუწყვიათ ბანდიტური გამოხდომები ნიკარაგუის წინააღმდეგ.

ბიზნესის სამყაროში

მომლერლის ამბიციები

ვაშინგტონი. იუპის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ამერიკელ მომღერალს და ბიზნესმენს ფრენკ სინატრას ნევადის შტატის ხელისუფლებამ დაუბრუნა ლას-ვეგასში სამორნოს ლიცენზია, რომელიც გააუქმეს 18 წლის წინათ ჩიკაგოს მაფიის თავკაცებთან ფ. სინატრას კავშირის გამო.

ავტობიოგრაფიულ სტატიაში, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა, სინატრამ აღიარა, რომ იგი 50-იან წლებში „კოზა ნოსტრას“ მთავარი მეპატრონის ლაკი ლუჩიანის პირადი მეგობარი იყო. როგორც სააგენტო აღნიშნავს, იმათ შორის, ვინც ახლა თავდებად დაუდგა სინატრას, არის მისი საუკეთესო მეგობარი, თეთრი ხახლის ახლანდელი პატრონი რ. რეიგანი.

65 წლის ფ. სინატრას აღარ აკმაყოფილებს არტისტული დიდება, მისი „სანუკვარი ოცნება“ ყოველთვის პოლიტიკა იყო. როგორც იტალიური ჟურნალი „ევროპეი“ წერს, მომღერალი ამჟამად ცდილობს რომელიმე ქვეყანაში შეერთებული შტატების ელჩი გახდეს.

ნიშანდობლივია, რომ ბოლო არჩევნებში ფ. სინატრა აქტიურად უჭერდა მხარს რეიგანის კანდიდატურას. სწორედ ის იყო დანიშნული ამერიკის ახალი პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების ცერემონიის ხელმძღვანელად.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЕ 02087 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20